ალია

REPORTIORI.GE

დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“

N76/3006/ 21 მაისი 2014 წ PRESS ფასი 50 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


## გადადგება თუ არა სოზარ სუბარი თანამდებობიდან?



## რას უყვებიან „ალიას“ ბოკერია-ალასანიას გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე





## რა პერსპექტივა ექნება „კვირის ქრონიკის“ საქმეს სტრასბურგის სასამართლოში?

## უსუფაშვილის კონფერენციაზე გამოსვლამ სასულიერო პირები აღაშფოთა



## მინისტრ დარახველიძის უწყებით საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ?



### 21 მაისს მე-12 კლასელებისთვის გამოსაშვები გამოცდები იწყება



გამოცდების დაწყებამდე მოსწავლეებს სკოლებში სპეციალური ბარათები დაურიგდათ, სადაც მითითებულია სრული განრიგი. საგამოცდო ოთახები აღჭურვილია ვიდეოკამერებითა და ხმის ჩამწერი აპარატურით. დამამთავრებელი კლასის 38 000-მდე მოსწავლე პირველ დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიიღებს მონაწილეობას. გამოსაშვები გამოცდები კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების ქართული მოდელით ტარდება.

სისტემის მაქსიმალური დაცულობისთვის მომზადდა სპეციალური პროგრამა, რომელიც კონკრეტულ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით ურჩევს მოსწავლეს მომდევნო კითხვას, სანამ მის ცოდნასა და შესაძლებლობებს არ დაადგენს.

მე-12 კლასის მოსწავლეებმა გამოსაშვები გამოცდები 4 საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) ოქტომბერში ჩააბარეს.

მოსწავლეებს, რომლებმაც შემოდგომაზე ზღვარი ვერ გადალახეს (ან ვერ გამოცხადდნენ გამოცდაზე), შესაძლებლობა აქვთ, ეს გამოცდები დანარჩენ ოთხ საგანთან ერთად ჩააბარონ. გამოცდები ერთდროულად 1500-მდე სკოლაში ჩატარდება და 25 მაისს დასრულდება. (კვირა)

### ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის სატრანსპორტო შეღავათები ამოქმედდება

ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები, დედაქალაქში მოძრავ სამარშრუტო ტაქსებში მგზავრობის ღირებულების ნახევარს გადაიხდიან, მეორე ნახევარს კი დედაქალაქის მთავრობა აანაზღაურებს.

„ამჟამად თბილისში 17 ათასამდე ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირია რეგისტრირებული. დღეიდან თითოეულ მათგანს ახალი სამგზავრო ბარათის აღება ვაჟა-ფშაველას 99 ნომერში მდებარე სპეციალურ სერვისცენტრში შეეძლება. აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის უკვე არსებული ბარათები ომის ვეტერანებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა მიმდინარე წლის 20 ივლისამდე ახალი ბარათებით უნდა შეცვალონ“, – აცხადებენ მერიაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროფესიული კოლეჯების პროგრამაში ახალი პროფესია — ფერმერობა დამკვიდრდება



გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით რვა პროფესიაში ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა. განათლების სამინისტროს ცნობით, კაჭრეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები გაეცნენ პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული, შედეგებზე გათვლილი და მოქნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირების მეთოდოლოგიას.

ტრენინგის გახსნას დაესწრნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე სოფო ქემხაძე და გაეროს განვითარების პროგრამის დემოკრატიული მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი ნათია ნაცვლიშვილი.

ახალი სასწავლო პროგრამები პასუხობს საქართველოს სოფლის მეურნეობის დასაქმების ბაზრის ყველაზე მწვავე საჭიროებებს. თანამედროვე მოდულური მეთოდოლოგიით სწავლება წარიმართება შემდეგ სპეციალობებში: ფერმერი, მეღვინე-მევენახე, მემცენარე, მეხილე, მეცხოველე, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი, რძის გადამმუშავებელი. აღსანიშნავია, რომ ფერმერობა, როგორც პროფესია, პირველად დამკვიდრდება პროფესიული კოლეჯების პროგრამაში.

ახალი პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ შეაფასა, მისი განცხადებით, ეს არის ძალიან მაღალი ხარისხის, სრულიად თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებული მოდულური პროგრამები, რომელიც, საერთო ჯამში, აამაღლებს ხარისხს და მივაღწევთ იმ დონეს, რაც გვჭირდება პროფესიულ განათლებაში.

„სასწავლო პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ მრავალმხრივი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და დასაქმების კარგი შესაძლებლობა. პრაქტიკული სწავლების 50 პროცენტი ჩატარდება საწარმოებსა და ფერმერულ მეურნეობებში. ახალი სასწავლო პროგრამების პილოტირება გაიმართება 2014 წლის ზაფხულში კაჭრეთის, თელავის, ახალციხისა და სენაკის პროფესიულ კოლეჯებში. საცდელ პროგრამებში 130 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას“, – აღნიშნულია განათლების სამინისტროს განცხადებაში. (კვირა)

## IDFI ფინანსური დანაშაულების შესახებ სტატისტიკას აქვეყნებს

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი 2004-2014 წლებში ფინანსური დანაშაულის შესახებ სტატისტიკას აქვეყნებს, რომელიც ამ პერიოდში ქრთამის აღების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მითვისების ან გაფლანგვის მუხლებით გამოვლენილ შემთხვევებს შეეხება სამსახურებრივი პოზიციების, უწყებებისა და რეგიონების მითითებით.

**IDFI**-ს მონაცემები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციას ეყრდნობა.

მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2004 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 16 აპრილამდე ქრთამის აღების მუხლით გამოძიება დაიწყო 171 შემთხვევაზე, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია 201 პირზე.

„9 წლის მანძილზე ყველაზე მეტი ფაქტი ქრთამის აღების კუთხით ადგილობრივ თვითმმართველობაში გამოვლინდა, ხოლო ყველაზე ნაკლები – ორი შემთხვევა – საჯარო რეესტრში. ცენტრალური ხელისუფლებიდან ქრთამის აღება ხუთ სამინისტროში დაფიქსირდა, ყველაზე მეტი – 11 ფაქტი იყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, ყველაზე ნაკლები – 3 შემთხვევა – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. კერძო სექტორში სულ წლების მანძილზე 15 შემთხვევა გამოვლინდა. წლების მიხედვით თუ შევხედავთ, ერთი წლის მანძილზე ყველაზე მეტი, 62 დარღვევა 2010 წელს მოხდა, ხოლო 2007 წელს ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთი იყო“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით 2005-დან 2013 წლის ჩათვლით გამოძიება 124 ფაქტზე დაიწყო, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა – 113 პირზე.

„საინტერესო დინამიკა იკვეთება წლებისა და სტრუქტურული ორგანიზაციების მიხედვით. 2006 წელს დაწყებული დევნის 23 შემთხვევიდან 19 კერძო სექტორში იყო. 2012-2013 წლებში აღნიშნული დარღვევების გამო დევნა მხოლოდ კერძო სექტორში დაიწყო“, – აღნიშნულია განცხადებაში.

**IDFI**-ს ინფორმაციით, 2004 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 16 აპრილის ჩათვლით, მითვისება-გაფლანგვის მუხლით გამოძიება 2 145 ფაქტზე დაიწყო. დარღვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 2004-2006 წლებში და 2006 წელს მიაღწია პიკს, როდესაც გამოვლინდა 383 შემთხვევა. 2007 წლიდან შემთხვევების რაოდენობა განახევრდა და 2012 წლამდე წელიწადში საშუალოდ 150 საქმე აღიძვრებოდა. 2013 წელს, წინა ხუთ წელთან შედარებით, უფრო მეტი, 219 გამოძიება დაიწყო. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს პრეზიდენტს მთავრობასთან მუშა ურთიერთობა აქვს



როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, იმ შეხვედრაზე, რომლის ამსახველი ფოტოებიც გავრცელდა, პრემიერ-მინისტრთან ინტენსიურ და კოორდინირებულ ურთიერთობაზე ისაუბრა.

„ხელისუფლებასთან მუშა ურთიერთობა გვაქვს, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ყველა საქმეს ვაგვარებთ. ამ ურთიერთობის ძირითადი პრინციპი და ამოსავალი არის ის, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, განსაკუთრებით ახალი კონსტიტუციის პირობებში, სხვადასხვა ფუნქციები გააჩნიათ. კითხვები ისმოდა განსაკუთრებით იმაზე, რატომ არ შეხვდნენ ერთად, დავუშვათ რომელიმე პრეზიდენტს. ეს ლოგიკური კითხვა არ არის, რადგან მე რამდენ ქვეყანაშიც ვიყავი, ყველგან ცალკე ვხვდებოდი პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ასე რომ, შემიძლია, გითხრათ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობა არის მუშა და ასეც გაგრძელდება, ხოლო სიტყვა დაპირისპირება, გადაჭარბებულია“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (პირველი)

## პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანია ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და არა ხელმომწერი



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს, თუმცა დასძენს, რომ ამ საკითხს „არ გამოედავება“.

„მე ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი დათქმაა, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, ხელი მოაწეროს მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე. ეს არის კონსტიტუციური ნორმა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება, რომლის ხელის მოწერაც არის სტრატეგიული საქართველოსთვის. შესაბამისად, მე შემიძლია გითხრათ, რომ ამის თაობაზე აუცილებლად ჩატარდება კონსულტაციები და ისიც შემიძლია დავაფიქსირო, რომ ჩემთვისაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველომ მოაწეროს ხელი. ჩემთვის არ არის მართლა პრინციპული და მე ამ საკითხს არ გამოვედავები, თუ იქნება პოზიცია, რომ ხელი მოაწეროს რომელიმე სხვა ლეგიტიმურმა პირმა, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი, გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება მოიცავს როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში განსახორციელებელ პროცესებს. შესაბამისად, მგონია, რომ უპრიანია, როდესაც სახელმწიფოს მეთაური აწერს ხელს, თუმცა ლეგიტიმურია, რომ სხვა პირმაც მოაწეროს ხელი“, – განაცხადა მარგველაშვილმა და დასძინა, რომ „მნიშვნელოვანია ხელმოწერა და არა ხელმომწერი“. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლალი მოროშკინა: დიმიტრი დარბაისელი საქართველოს დატოვებას აპირებს



ლალი მოროშკინას განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის შეცვლაზე გადაწყვეტილება მიღებულია.

„ვფიქრობ, მინისტრი თავის სიტყვას იტყვის, რომელიც წინააღმდეგი იყო ამ კადრების დანიშვნის, პრემიების გაცემის და მაქვს ინფორმაცია, რომ დიმიტრი დარბაისელი საზღვრის გადაკვეთასა და საქართველოს დატოვებას აპირებს. ვფიქრობ, დროულად იქნება გადაწყვეტილება მიღებული, იმიტომ რომ ის განცხადება, თითქოს მე მომხსნეს, თვლის ახვევაა და ნაცადი მეთოდია. მათ იციან, რომ ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას იმ დარღვევებზე, რომელიც დღეს სასჯელაღსრულების სისტემაშია. ორი-სამი თვეა, გავდივარ კონსულტაციებს გარკვეულ უწყებაში, სადაც საუბარი იყო იმაზე, ვინ უნდა შეცვალოს დარბაისელი. მე შევთავაზე კახი კახიშვილის კანდიდატურა, რადგან მისი ავტორიტეტი ჩემთვის ძალიან მაღალია“, – განაცხადა ლალი მოროშკინამ. (პირველი)

## „ნაცმოძრაობა“ „ოცნებას“ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებზე ზეწოლაში ადანაშაულებს



როგორც მოძრაობის ზუგდიდის საარჩევნო შტაბის უფროსმა ლაშა დამენიამ განაცხადა, კომისიის რამდენიმე წევრმა წასვლის შესახებ განცხადება უკვე დაწერა.

„კომისიის წევრებს აშინებენ და აშანტაჟებენ. სოფელ რუხის ერთ-ერთ უბანზე კომისიის წევრს გაყალბების სანაცვლოდ 2000 ლარი შესთავაზეს. ფაიფურის დასახლების ორ უბანზე კი კომისიის წევრებმა სამუშაო დატოვეს. „ქართული ოცნების“ სქემა ასეთია: მათ მიერ მოსყიდულმა ან დაშინებულმა კომისიის წევრმა ხმების დათვლის დროს 2-3 ბიულეტენი, რომელზეც ჩვენი კანდიდატი იქნება შემოხაზული, მათი კანდიდატის ბიულეტენებს უნდა შეურიოს და მათ ხმად გაასაღოს. იმავდროულად, 10-10 ბიულეტენის შეკვრის ნაცვლად 8-9 ბიულეტენი უნდა შეკრან და 10-ად გაასაღონ, ჩვენი კანდიდატის ბიულეტენების შემთხვევაში კი 12-13 ბიულეტენს შეკრავენ და ასევე, 10-ად გაასაღებენ და ა.შ. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ჩაატაროს სამართლიანი და ობიექტური არჩევნები. ვიცით, რომ შეშფოთებულები არიან იმით, რომ იციან, ზუგდიდს წააგებენ და ეს ზეწოლებიც სწორედ აქედან მოდის, თუმცა ჩვენ უბნებზე გვექნება ვიდეოკამერები და გაყალბებას არ დავუშვებთ“, – განაცხადა ლაშა დამენიამ.

ოპოზიციის ბრალდებებს მმართველი გუნდის ზუგდიდის ცენტრალურ საარჩევნო შტაბში კატეგორიულად უარყოფენ.

„ეს მათი ხერხებია. სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ სჩადიოდა მსგავს დანაშაულებრივ ქმედებებს, რასაც ჩვენ ვებრძოდით და ჩვენ მსგავსი მეთოდებით ოპონენტებთან ბრძოლას არ ვაპირებთ. ჩვენ პირნათელი ვიქნებით ამომრჩეველთან და უნიკალურ არჩევნებს ჩავატარებთ. ეს არის ბოდვა, მათი სიზმრები, ეს მარცხისკენ მიდრეკილი ადამიანების საუბარია და სერიოზულად არც განვიხილავთ“, – აღნიშნა შტაბის უფროსმა ლაშა გვასალიამ. (ფრონტნიუსი)

## საქართველო-რუსეთის საზღვარზე მოქალაქეთა გადაადგილება აკრძალულია



აღნიშნულ აკრძალვასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

„გაცნობებთ, რომ დარიალის, ე.წ. ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით საქართველო-რუსეთის საზღვარზე მოქალაქეთა გადაადგილება აკრძალულია დარიალის ხეობაში მეწყერის შედეგად ჩამოშლილი კლდის მასის გაწმენდით-საძიებო სამუშაოების დასრულებამდე. დარიალის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ჩვეულ რეჟიმში ამოქმედების შესახებ დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ“, – ნათქვამია განცხადებაში. (პირველი)

## პრეზიდენტი მთავრობის წევრების მაღალი ანაზღაურებისა და პრემიების საკითხს გამოეხმაურა



როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, მთავრობის წევრებს იქიდან გამომდინარე, რომ ურთულეს საკითხებს წყვეტენ, ნორმალური ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, რომელიც სტაბილური უნდა იყოს.

„მე არ მგონია, რომ ეს არის ეკონომიკის თემა, ეს უფრო არის სახელმწიფო სამსახურების დასტაბილურების თემა. ვფიქრობ, მთავრობის წევრებს, იქიდან გამომდინარე, რომ ურთულეს საკითხებს წყვეტენ და ხშირად აქვთ მილიონობით და ხშირ შემთხვევაში ასეულობით მილიონობით თანხის განკარგვასთან საქმე, ნორმალური ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს ნორმალური ანაზღაურება უნდა იყოს სტაბილური. თუ არსებობს საკითხები, რომელიც არასახარბიელოდ გამოჩნდა, რომელიც ძირითადად არის პრემიებისა და არა ანაზღაურების საკითხი, არის დასარეგულირებელი და არ არის კარგი დასანახი“, – განაცხადა მარგველაშვილმა. (პირველი)

# ყველას! ყველას! ყველას!

## ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ!!!

წლებია, „ალია“-„ქრონიკას“ უამრავი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ზეწოლისა თუ ფინანსური მარწუხებისა და წნეხის ქვეშაც კი არ გადაუხვევია მთავარი პრინციპისთვის – არასდროს უთქვამს თეთრზე, შავიაო! ამიტომაც დაგვსაჯეს და ჩვენი პრინციპულობა, სიმართლე 53500 ლარი დაგვისვეს („ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია კი 6500 ლარად შეგვიფასეს)! გაზეთისთვისაა ეს დიდძალი თანხა, თორემ ზოგიერთისთვის ერთი თვის პრემიაა. სამართლებრივად, პროტესტის სხვა ყველანაირი ფორმის გამოხატვითაც კი, აყროლებული ქათმებითაც რომ გავავსოთ დაბრმავებული ქართული სამართალი, ან კუბლაშვილი თავის მოსამართლეებიანად (თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე, ვანო წიკლაური, თამაზ ურთმელიძე) – განაჩენი არ შეიცვლება, საბოლოოა და თანაც უტიფრად თავხედური – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებაო. რადგან სიმართლის თქმისთვის ფულს გვთხოვენ, იძულებული ვხდებით, ქართულ ისტორიაში გაზეთისთვის უპრეცედენტო ჯარიმის გადასახდელად „თიბისი ბანკში“ სპეციალური ანგარიში გავხსნათ:

**GE30TB7568636020100001**

ყველას, ყველას, ყველას, ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ, რომ ორ ათწლეულზე მეტია, „ალია“-„ქრონიკას“ სიმართლე ტყუილად არ უწერია, დაჩაგრულის დასაცავად ტყუილად არ უბრძოლია! ახლა გვჭირდებით, რომ თუნდაც სიმბოლური ერთი ლარით გამოხატოთ თქვენი პოზიცია, ერთად შემოვულაწუნოთ ქართულ, გამომძალველ, დაბრმავებულ სასამართალოს, ვინძლო გამოფხიზლდეს.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარესაა სიმართლე, უკვე მთავარია, ვის უჭირავს იარაღი, ანუ ფული.


**პირველი შემოწირულობა ანგარიშზე უკვე შეიტანეს:**
**შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი.**
**მადლობა მათ თანადგომისთვის.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორი“ „ალიას“ სოლიდარობას უცხადებს

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ შემდეგ, „ალიას“ მხარდამჭერ განცხადებას „რეპორტიორი“ აქვეყნებს.

„რეპორტიორის“ ჟურნალისტური კოლექტივი სოლიდარობას უცხადებს გაზეთ „ალიას“ და აცხადებს: ჩვენ არა მარტო მხარს ვუჭერთ ალიელებს, არამედ მათ წინააღმდეგ აგორებულ ცილისმწამებლურ კამპანიას განვიხილავთ, როგორც ჩვენს, „რეპორტიორის“, წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას. აქედან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებთ, კანონისა და ჟურნალისტიკის აღიარებული ეთიკური ნორმების დაცვით პასუხი გავცეთ მავანსა და მავანს!..

**„რეპორტიორი“ მდიდარი არ არის, მაგრამ ჩვენ მოვახერხებთ „ალიას“ მხარდასაჭერ საბანკო ანგარიშზე სიმბოლური თანხის გადარიცხვას! დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“,** – ნათქვამია „რეპორტიორის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელსაც კოლექტივის სახელით ხელს აწერს გენერალური დირექტორი, გიორგი მამაცაშვილი.

„ალია“-„ქრონიკა“ მადლობას გიხდით თანადგომისთვის. თქვენი მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია, რათა სიმართლის თქმის, გაჭირვებულის დახმარებისა და დაფარულის გამოაშკარავების შესაძლებლობა ქართულმა ჟურნალისტიკამ არ დავკარგოთ. იმისთვის, რომ შევქმნათ პრეცედენტი, როგორ ვერ ახდენს უსამართლობა მედიაზე გავლენას და როგორ უნდა დარჩე პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დარიალის ხეობაში მეწყერის ჩამოწოლას წინ მიწისძვრა უსწრებდა



სეისმოლოგიური ცენტრის მონაცემებით, მიწის ჩამოშლამდე, რამდენიმე საათით ადრე, სტიქიის ზონაში მიწისძვრა მოხდა, რამაც მყინვარზე ფენების გააქტიურება გამოიწვია.

გეოლოგების ერთი ნაწილი, მეწყერსაშიშ ზონებში მონიტორინგის ცენტრების არარსებობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ მსგავსი ცენტრების ფუნქციონირების შემთხვევაში, პრევენციული ზომების მიღება და ეკოლოგიური კატასტროფის რისკების შემცირება შესაძლებელი იქნებოდა.

ამ აზრს გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებიც იზიარებენ, რომლებიც დარიალის ხეობაში მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეზე ხშირად მიუთითებდნენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დარიალის ხეობაში მეწყერის ქვეშ მოყოლილი სამი სატვირთო მანქანა იპოვეს



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, რამდენიმე მძღოლის გადარჩენა მოხერხდა.

„იქით მხარეს დარჩენილი იყო სამი მანქანა, რომლებიც ნახევრად მიწაში მოყვნენ. მათი გამოყვანა ხდება ახლა. თავად მანქანებში მიცვალებულები არ არიან. რამდენიმე მძღოლია გადარჩენილი. ერთი მანქანის მძღოლს ვერ ვპოულობთ. როგორც სხვა მძღოლები აცხადებენ, გადმოვიდა მანქანიდან და დაიკარგა. ის, სავარაუდოდ, მიწის მასაშია მოყოლილი“, – აღნიშნა გომელაურმა.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც. მისი თქმით, ამ ეტაპზე ჯანდაცვითი საჭიროებები არ ჩანს.

„ჩამოვედი იმისთვის, რომ ადგილზე გავეცნო რეალურ საჭიროებებს. ჯანდაცვის საჭიროებები ამ ეტაპზე არ ჩანს. ეს საჭიროებები იყო პირველ საათებში, როდესაც ხდებოდა სამედიცინო ევაკუაცია, პაციენტების გადაყვანა. ახლა ჩემი ამოცანა არის, ვნახო, რამდენად აქვს ამას შეხება სოციალურ სფეროსთან და რით შეგვიძლია, ვიყოთ სასარგებლო ადგილობრივი მოსახლეობისთვის“, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (კვირა)

## სასჯელაღსრულების სამინისტრომ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო



უწყებამ სამსახურებრივი შემოწმება პოლიციის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედის, ია მეტრეველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

„ია მეტრეველმა გაავრცელა ინფორმაცია მსჯავრდადებულ ლაშა შავიძის შესახებ, რომელსაც, თითქოს, 2008 წელს ნარკოტიკების სანაცვლოდ დაუკვეთეს მისი მკვლელობა, ხოლო ამჟამად პატიმარი ზეწოლის ქვეშაა, რის შესახებაც ია მეტრეველს შეატყობინა. ია მეტრეველი 19 მაისს შეხვდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სოზარ სუბარს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა. მინისტრის დავალებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

ია მეტრეველის განცხადებით, ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავას დავალებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელი ლაშა შავაძეზე ზეწოლას ახორციელებს. მეტრეველის ინფორმაციით, ასევე ფირცხალავას დავალებით, დარბაისელმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გაათავისუფლა ბუტა რობაქიძის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე გოჩა მუკბანიანი. (კვირა)

# „გუდვილის“ დირექტორი: „გუდვილი“ მომგებიანი კომპანიაა, ამიტომ მისი რეაბილიტაცია აუცილებლად შედგება“

**ჰიპერმარკეტთა ქსელი „გუდვილი“ რეაბილიტაციის გეგმაზე მუშაობს. კომპანია, რომელსაც პრობლემები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს შეექმნა, მდგომარეობიდან გამოდის. მეტიც, ის შვიდი ფილიალის საშუალებით სრულად ახერხებს, რეალიზაციიდან მიღებული თანხით დაფაროს დავალიანება, რომელიც კრედიტორების მიმართ აქვს. როგორ მიმდინარეობს რეაბილიტაციის პროცესი და რა გეგმები აქვს „გუდვილს“? ამის შესახებ ჰიპერმარკეტთა ქსელ „გუდვილის“ გენერალური დირექტორი ბესიკ ჯიქურაული საუბრობს.**

– გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში ჩვენ თითქმის ყველა კრედიტორს ცალ-ცალკე შევხვდით და დავპირდით მდგომარეობის გაჯანსაღებას ეკონომიკური თვალსაზრისით. ვთხოვეთ კრედიტორებს, უფრო თამამად წამოსულიყვნენ თანამშრომლობაზე. კრედიტორთა დიდმა ნაწილმა ეს თავიდანვე თამამად გაბედა, ნაწილს ეგონა, რომ დამატებით ვალდებულებებს აიღებდა „გუდვილი“ და შემდეგ ვერ გადაიხდიდა ამ თანხას. შესაძლოა, ახალი წლის პერიოდმაც ხელი შეგვიწყო, მნიშვნელოვნად გაიზარდა გაყიდვები, ჩვენც ხელი შევუწყვეთ. პირველი პირობა, რაც მივეცით ყველა მომწოდებელს, ის იყო, რომ დაპირებულ დღეს აუცილებლად ჩავურიცხავდით გადასახდელ ფულს. ეს პირობა შევასრულეთ, არავისთან არ დაგვირღვევია. კრედიტორებმა, რომლებიც ჩვენი ძირითადი მომწოდებლები არიან, ყველამ დააფასა ეს საქციელი, მიხვდნენ, რომ „გუდვილს“ თანხის გადახდის პრობლემები არ გააჩნია და შესაბამისად, უფრო თამამად მიიღეს გადაწყვეტილებები.

**— რას ვგულისხმობთ კრედიტორთა თამამ გადაწყვეტილებებში?**

– მოგეხსენებათ, არსებობს გარკვეული პირობები გადახდისა. ეს არის საავანსო გადახდა, კონსიგნაციაზე და რეალიზაციაზე გადახდა. ჩვენთვის, „გუდვილისთვის“, ბუნებრივია, ყველაზე უფრო მისაღები ფორმა გადახდისა არის რეალიზაციაზე გადახდა. ეს ნიშნავს, რომ საბრუნავი თანხა რაც არის, ამას ვიყენებთ როგორც დამატებითი პროდუქციის შესაძენად, ასევე მომწოდებელთა დავალიანების გადასახდელად. მომწოდებელთა 90% რეალიზაციაზე დაგვთანხმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „გუდვილის“ მიმართ ნდობა აღდგა. ჩვენ მომწოდებლებთან ურთიერთობებში პრობლემები აღარ გვაქვს. მეტიც, საუბარი დავიწყეთ კიდევ უფრო განვითარებაზე, რეკლამებზე, ერთობლივ აქციებზე, ფასდაკლებებზე, რაც ადასტურებს იმას, რომ გაჯანსაღებულია ბიზნესგარემო და ურთიერთობები ჩვენსა და მომწოდებლებს შორის. ეს, ბუნებრივია, „გუდვილის“ განვითარებაზეც მოქმედებს. ჩვენი მომწოდებლები არიან ჩვენი პარტნიორები, შესაბამისად, მათთან ასეთი კარგი ურთიერთობა ქმნის იმ ფონს, რომ „გუდვილის“ რეაბილიტაცია შესაძლებელია.

**— გარდა ნდობის პრობლემისა მომწოდებელთა მხრიდან, არსებობდა ეკონომიკური პრობლემები, ამ მხრივ, რა მდგომარეობა აქვს ახლა ჰიპერმარკეტთა ქსელს?**

– ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ვიყოთ ძლიერები. ამის წინაპირობა კი ის მდგომარეობაა, რაც ახლა „გუდვილში“, ვინაიდან გაყიდვები გაიზარდა და კომპანიას აქვს სოლიდური შემოსავალი. ჩვენ შევქმენით კრედიტორთა ჯგუფი, რომლებიც რეაბილიტაციის გეგმაზე იმუშავებს. ეს არის 12 კომპანია. მათთან ერთად 2 თვეზე მეტია, ვმუშაობთ, კვირაში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს და ვეცნობით ფინანსურ მონაცემებს, პროგნოზს, ბაზრის მდგომარეობას ვამუშავებთ. ამ კომპანიების განცდაც არის პოზიტიური და იმედიანი. „გუდვილი“ გადასულია რეაბილიტაციის რეჟიმზე და ეს პროცესიც დასრულდება წარმატებით. ვრცელდებოდა ხმები, რომ „გუდვილში“ თანხები სწორად არ იხარჯებოდა, თუმცა ის 12 კომპანია, რომელიც რეაბილიტაციის გეგმაზე მუშაობს, დარწმუნდა, რომ ჩვენთან ყველაფერი სწორად იხარჯება, ვინაიდან ნებისმიერ მათ მოთხოვნასა და შეკითხვებზე (პერსონალის ხელფასები, გადარიცხვები და ა.შ.) გვაქვს პასუხები და ეს მათთვის ცნობილია.

**— „გუდვილის“ რეაბილიტაციის პროცესს ხელმძღვანელობს მსოფლიოს ოცეულში მყოფი აუდიტორული ფირმა „პე-კა-ეფ ჯორჯია“, რომელმაც უნდა წარმოგიდგინოთ ქსელის რეაბილიტაციის გეგმა. თქვენ ეჭვი გქონდათ, რომ „თი-ბი-სი ბანკი“ ზეწოლას ახორციელებდა „პე-კა-ეფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელზე დავით გვეტაძეზე, რის საფუძველზე გაგიჩნდათ ეს ეჭვი, გაქვთ ამის საფუძველი?**

– ჩვენ რამდენიმე თვის წინ უნდა აგვერჩია რეაბილიტაციის მმართველი, რომელსაც ევალება პროცესების კონტროლი კრედიტორებსა და მევალეს (ამ შემთხვევაში „გუდვილს“) შორის. ამასთანავე, უნდა დაეწყო მუშაობა რეაბილიტაციის გეგმის წერაზე. მაშინ „თი-ბი-სი ბანკს“ ჰყავდა ერთი კანდიდატი, რომელიც ჩვენ მიკერძოებულად ჩავთვალეთ, ეს იყო ბატონი ვანიშვილი. მეორე ეტაპზე კრედიტორებმა წარმოადგინეს აუდიტორული კომპანია, რომელიც მსოფლიო ოცეულშია. მათი ერთ- ერთი ფილიალის წარმომადგენელია ქართული მხარე. თავდაპირველად განწყობა კარგი იყო, ბუნებრივია, რადგან მსოფლიოს ოც აუდიტორულ კომპანიაში მყოფი ფირმა, ბუნებრივია, აჩენს განცდას, რომ სანდოა და თავს ვერავინ მოახვევდა იმ აზრს, რომელიც რომელიმე კრედიტორს აწყობდა. ჩვენ „პე-კა-ეფ ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან და მის ხელმძღვანელთან თვე-ნახევარი მოგვიწია ურთიერთობა. ამ პერიოდის განმავლობაში შედეგი ვერ დავინახეთ. გარდა ამისა, ვხედავდით, რომ არ იწერებოდა ქსელის რეაბილიტაციისა და განვითარების გეგმა, რის გამოც გაგვიჩნდა შეკითხვები. „პე-კა-ეფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი დავით გვეტაძე, ალბათ, 6-ჯერ არის ნამყოფი ჩვენს ოფისში. გვეტაძემ გადადო რეაბილიტაციის გეგმის წარდგენის ვადა, რომელიც დანიშვნიდან 40 დღის განმავლობაში ჰქონდა. როდესაც დავიწყეთ გამოკითხვა, რა გააკეთეთ და სად არის ჩვენი დოკუმენტი. აღმოჩნდა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობდა. ამასთანავე, ერთ-ერთ გაზეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით გვეტაძის მამას „თი-ბი-სი ბანკში“ ჰქონია ვალდებულება, პრობლემური სესხის სახით, მას დაგირავებული ჰქონდა ამ ბანკში ბინა. გარდა ამისა, „პე-კა-ეფ ჯორჯიას“ დამფუძნებლის წილიც „თი-ბი-სი ბანკში“ იყო პრობლემური სახის ქვეშ დაგირავებული. ეს ინფორმაცია რომ ჩვენთვის ცნობილი ყოფილიყო იმ სასამართლო პროცესზე, როდესაც უნდა დანიშნულიყო რეაბილიტაციის მმართველი, ბუნებრივია, წინააღმდეგი წავიდოდით, ვინაიდან საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან. როდესაც პირს ვალდებულება აქვს კონკრეტული ფირმის, ამ შემთხვევაში „თი-ბი-სი ბანკის“ მიმართ, ბუნებრივია, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი ობიექტურობა.

**— ახლა არ გაქვთ უფლება, სასამართლოს გზით მოითხოვოთ აცილება „პე-კა-ეფ ჯორჯიაზე“?**

– ჩვენ მივმართეთ სასამართლოს. ჩვენ მიმართული გვაქვს მოსამართლისთვის იმ მოთხოვნით, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და არ შეიძლება კანონით ეს იქნას დაშვებული. ასევე, როგორც იცით, კრედიტორების გარკვეულმა ჯგუფმაც მიმართეს სასამართლოს. მიმდინარე ეტაპზე კონკრეტული საქმე იყო გაგზავნილი სააპელაციო სასამართლოში. მომავალ კვირაში უკან დაბრუნდება ის საქმე (საქალაქო სასამართლოში) და ჩაინიშნება კრედიტორთა კრება. სწორედ ამ კრედიტორთა კრებაზე მიიღებს მოსამართლე საბოლოო გადაწყვეტილებას. სამწუხაროა, რომ თავის დროზე არ ვიცოდით „პე-კა-ეფ ჯორჯიას“, ასევე მისი ხელმძღვანელისა და „თი-ბი-სი ბანკის“ ურთიერთობის შესახებ. თუმცა „პე-კა-ეფ ჯორჯია“ ვალდებული იყო, ეთქვა, რომ „თი-ბი-სი ბანკთან“ დაკავშირებულია ობიექტური მიზეზებით და ის ობიექტური ვერ იქნებოდა მოცემულ სიტუაციაში. და კიდევ ერთი, როდესაც ჩვენ „თი-ბი-სი ბანკთან“ მოლაპარაკება და გეგმის წერა დავიწყეთ, „პე-კა-ეფი“ გვთხოვდა იმაზე უარესი პირობების ჩაწერას, ვიდრე ჩვენ შევთანხმდით „თი-ბი-სი ბანკთან“. ბუნებრივია, ეს დამოკიდებულება ჩვენზე ძალიან ცუდად მოქმედებდა. ფაქტობრივად, ჩანდა, რომ „თი-ბი-სი ბანკის“ მხარეს წარმოადგენდა რეაბილიტაციის მმართველი ფირმა.






**— რა ურთიერთობაა ახლა „გუდვილსა“ და „თი-ბი-სი ბანკს“ შორის? რა გმართებთ თქვენ „თი-ბი-სი ბანკის“ და მას რას ედავებით?**

– ჩვენ ამჟამად გვაქვს 15 მილიონ 700 ათასი ლარის ვალდებულება ბანკთან, ასევე, გვაქვს 2, 5 მილიონი დოკუმენტური ვალდებულება, ჯამში, გამოდის 18 მილიონ ლარამდე ჩვენი დავალიანება. ჩვენ რასაც ვედავებით ბანკს, ის არის, რომ გადახდისუნარიანობის გამოცხადებამდე, რომელიც გასული წლის 24 სექტემბერს მოხდა, ხუთი დღით ადრე, 19 სექტემბერს ბანკმა „გუდვილის“ თავდებობა გამოიყენა, მისცა „გუდვილს“ 11 მილიონი სესხი და ამით დაფარა „მარშეს“ ვალდებულება. შესაბამისად, ეს 11 მილიონი დააწვა ყველას, როგორც ჩვენ კომპანიას, ასევე კრედიტორებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს 11 მილიონის თემა იყო არასწორი. ამას იცის ემატება, რომ მარშეს ქონება, რაც აქვს „თი-ბი-სი ბანკს“ წაღებული (იგულისხმება უძრავი და მოძრავი ქონება), ჩვენ ექსპერტიზის ბიუროს შევაფასებინეთ და გამოდის 10-მილიონიანი სხვაობა. „თი-ბი-სი ბანკმა“ 10 მილიონ ლარით ნაკლებად წაიღო „მარშეს“ ქონება. რეალური ფასი რომ გადაეხადა მას, შესაძლებელი იყო, რომ მოძრავი ქონების ღირებულებით მთლიანად გაექვითა „მარშეში“ თავისი ვალდებულება. ახლა „მარშე“ ისევ გოგი შევარდნაძის საკუთრებაშია, უბრალოდ, ის გადახდისუუნაროა. „გუდვილი“ უფრო წინ არის, ვინაიდან ის უკვე რეაბილიტაციის პროცესშია. „მარშეზე“ ჯერ სასამართლო პროცესები არ დაწყებულა. ბუნებრივია, ვგეგმავთ მის ამუშავებასაც. ამას გარდა „გუდვილის“ უძრავი და მოძრავი ქონება „თი-ბი-სი ბანკმა“ წაიღო 42 მილიონ ლარად. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოძრავი ქონება ძალიან იაფად წაიღეს, თუმცა ამაზე ჯერ დავა არ დაგვიწყია.

**— ამპირებთ ამაზეც დავას სასამართლოში?**

– მიმდინარე ეტაპზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ „თი-ბი-სი ბანკთან“, ვსაუბრობთ ბევრ საკითხზე, მათ შორის რეაბილიტაციის გეგმაზე. ისინი მიდიან გარკვეულ დათმობებზე, ჩვენც გვთხოვენ დათმობაზე წასვლას. ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა მოსალაპარაკებლად. მთავარი შედეგი ის არის, რომ მოლაპარაკებებში ფონი შერბილებულია და აღარ არის ისეთი აგრესიული, როგორიც გასულ წელს იყო. იმედი მაქვს, „თი-ბი-სი ბანკის“ მენეჯმენტი წამოვა ჩვენთან მოლაპარაკებებზე, რაც კარგი იქნება, როგორც კრედიტორებისთვის, ასევე „გუდვილისთვის“. მათთვისაც კარგი იქნება, თუ ეს პრობლემები მალე მოგვარდება.

**— ვიდრე რეაბილიტაციის გეგმა დაიდება, თუ გაქვთ თქვენ თვითონ „გუდვილის“ მენეჯმენტს მონახაზი, როგორ მოხდება ქსელის რეაბილიტაცია?**

– მიმდინარე მომენტში ჩვენ გვაქვს ორი შემოთავაზება, ეს არის ჰიპერმარკეტების გახსნა გლდანსა და კახეთის გზატკეცილზე, ორივე საკითხს განვიხილავთ. თუმცა ვიდრე არ დამტკიცდება რეაბილიტაციის გეგმა, ამ გადაწყვეტილების მიღება ჩვენთვის ძალიან რთულია. რეაბილიტაციის გეგმის პროექტში ჩვენ გვაქვს გარკვეული სახსრები გამოყოფილი, „გუდვილის“ განვითარებისთვის, ეს არ არის მცირე თანხა. ამიტომ ხაზგასმით შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალში ჩვენ გავაფართოებთ ქსელსაც. მთავარია, გვაქვს იმის რესურსი, რომ მოგებიდან ვფარავთ დავალიანებას კრედიტორთა მიმართ და აღარ გვიწევს დამატებითი კრედიტის აღება. მოგეხსენებათ, ამჟამად „გუდვილი“ მუშაობს, ვაკეში, საბურთალოზე, დიღომში, ლილოში, ბათუმსა და გორში. საბრუნავ საშუალებებში რა დეფიციტიც იყო, თითქმის შევსებულია, წყვეტა არ გვაქვს პროდუქციაში, მომხმარებელი ხედავს, რომ ასორტიმენტით სავსეა მარკეტები, დაბალანსებული გვაქვს მიმდინარე მარაგების თემა. გეგმა არის დაახლოებით რვაწლიანი და ამ პერიოდში, გარდა იმისა, რომ დავფარავთ კრედიტებს, პარალელურად მოგვეცემა საშუალება ქსელის გაფართოებისა. ასეთი პრინციპი გვაქვს, მოგებიდან 80%-ს დავფარავთ ვალდებულებებს და 20%-ს გამოვიყენებთ ქსელის განვითარებისთვის.

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# რას უყვებიან „ალიას“ ბოკერია-ალასანიას გასაიდუმლოებულ შეხვედრაზე

„ალიასთვის“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უკვე იშიფრება, ვინ დაგეგმა კამპანია „ეს შენ გეხება – ყველას გვისმენენ“, რა ძალები დგანან „ენდიაის“ კვლევების (რომლის მიხედვითაც, ირაკლი ალასანიამ 67-პროცენტიანი რეიტინგით გაასწრო ბიძინა ივანიშვილსაც და ირაკლი ღარიბაშვილსაც) უკან და რა კავშირშია ამ ყველაფერთან „რუსთავი 2“-ის ეთერში გაშვებული ფარული ვიდეო-აუდიოჩანაწერები.

ლოგიკურად თუ გავყვებით, აქცია „ეს შენ გეხება“, „ენდიაის“ კვლევები და „რუსთავი 2“-ის მიერ წამოწყებული სკანდალი ერთი ჯაჭვის რამდენიმე რგოლია, თანაც კარგად ორგანიზებული და კარგად დაფინანსებული (იბეჭდება ასი ათასობით ბუკლეტი, თითქმის ყველა სატელევიზიო არხით მიდის უფასო რეკლამები, „იმედი“ და „რუსთავი 2“ ამას სოციალურ რეკლამას უწოდებს და ასევე, ყველა ტელევიზიის კარი ღიაა რამდენიმე არასამთავრობოს წარმომადგენლებისთვის).

როგორც ერთ-ერთი ინკოგნიტო წყარო აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ამ ფართომასშტაბიანი კამპანიის უკან მდგარან პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი; თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები – კერძოდ, გიგა ბოკერია:

„კონკრეტულად, „ეს შენ გეხება“-ს ინიციატორები იმართებიან დავით უსუფაშვილის მხრიდან და მივდივართ გიგა ბოკერიამდე. რატომ შეიტანა ლუის ნავარომ „ენდიაის“ კითხვარში, ისევ გვისმენენ თუ არაო? იმიტომ, რომ ესენი ერთ თამაშს თამაშობენ. სხვათა შორის, ამ კამპანიის კულმინაცია იყო ნიკა გვარამიას ბინძური გამოხტომა, ამით უნდოდათ იმის „დამტკიცება“, ნახეთ, ფაქტებიც გვაქვს, ხელისუფლება ისევ გვისმენსო. უსუფაშვილის, ალასანიასა და „ნაციონალების“ მიზანი იყო, როგორმე სკანდალი ძალიან მაღალ ტემპერატურამდე აეწიათ, მაგრამ რაღაც-რაღაცები ვერ გათვალეს – მაგალითად, ის, რომ გავრცელებული ჩანაწერები ძველი, ანუ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გაკეთებული აღმოჩნდა და საზოგადოებამ არ დაიჯერა. თუკი ორგანიზატორები ამ სკანდალს თავიანთი გეგმის მიხედვით წაიყვანდნენ, ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის გადადგომას მოითხოვდნენ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრსაც შეუტევდნენ, ასევე გადადგომის მოთხოვნით. საბოლოო ჯამში, როგორც ვნახეთ, გეგმა ჩავარდა. საუბრობენ იმაზეც, როგორ შევიდა იმ დღეებში რამდენიმეჯერ გიგა ბოკერია სათადარიგო შესასვლელიდან თავდაცვის სამინისტროს შენობაში, როგორ გადასხდნენ ის და ირაკლი ალასანია ჩვეულებრივ, ანუ არასამსახურებრივ მანქანაში და როგორ წავიდნენ დავით უსუფაშვილთან. რასაც ახლა ვიტყვი, ამაზე პრესაში დაიწერა, მაგრამ არასრულყოფილად – საქმე ეხება „ენდიაის“ ყბადაღებულ თემას: ამ ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა 2004 წლიდან თანამშრომლობს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“, რომელიც „ენდიაის“ დაკვეთით ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ დაარსდა 2003 წელს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა, ხოლო 2013 წელს დარეგისტრირდა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ცენტრის დირექტორია კობა თურმანიძე, კვლევების დირექტორი – თინათინ ზურაბიშვილი, უფროსი მენეჯერი – ქრისტინე ვაჭარაძე. ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახლავთ თამარ ქაროსანიძე, რომელიც ამჟამად არის თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას მოადგილე. ასევე, მრჩეველთა საბჭოს წევრია პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი, ამჟამად ილიას უნივერსიტეტის პროფესორი დავით აფრასიძე.



**„თუკი ორგანიზატორები ამ სკანდალს თავიანთი გეგმის მიხედვით წაიყვანდნენ, ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის გადადგომას მოითხოვდნენ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრსაც შეუტევდნენ, ასევე გადადგომის მოთხოვნით“**

მაგალითად, ვინ არის კობა თურმანიძე? ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობს არასამთავრობო სექტორში, იყო „სოროსის ფონდის“ წარმომადგენლობაში, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თანამშრომელი. კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თურმანიძე რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, ქეთი ციხელაშვილთან ერთად არის ფონდ „ლიბერალური აკადემია – თბილისის“ დამფუძნებელი.

თითქმის იგივე ბიოგრაფია აქვს თინათინ ზურაბიშვილსაც, ანუ სტაჟიანი „ენჯეოშნიკია“ – მუშაობდა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში“, „სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში“, „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში“ და ასე შემდეგ. მე ამ ადამიანების ვინაობას იმიტომ ვშიფრავ, რომ საზოგადოებამ იცოდეს, ვის ეყრდნობიან დავით უსუფაშვილი, ირაკლი ალასანია და გიგა ბოკერია. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ ძირითადი დონორები არიან: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, ეუთოს წარ-



**„ამ კამპანიის კულმინაცია იყო ნიკა გვარამიას ბინძური გამოხტომა, ამით უნდოდათ იმის „დამტკიცება“, ნახეთ, ფაქტებიც გვაქვს, ხელისუფლება ისევ გვისმენსო“**

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტი ხელფასების გაზრდას და ავტოპარკის განახლებას გეგმავს




საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი მომავალი წლისთვის 54 მილიონ 695 ათასი ლარი იქნება, წლევანდელთან შედარებით, 2 მილიონ 604 ათასი ლარით მეტი. გაზრდილი თანხა შრომითი ანაზღაურების ზრდას და ავტოპარკის განახლებას მოხმარდება.

„საქართველოს პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება კანონმდებლებმა უკვე მიიღეს და ამ დოკუმენტით მთავრობას მიმართეს, თუ რა ოდენობით უნდა განსაზღვროს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის თანხა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. მთავრობას უფლება არ აქვს, აღნიშნული პარამეტრი შეამციროს, მას შეუძლია, ეს პარამეტრები მხოლოდ გაზარდოს.

როგორც პარლამენტში განმარტავენ, დადგენილებით დამტკიცებული პარამეტრები სრულად შეესაბამება 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების დროს მიღებულ საპროგნოზო პარამეტრებს.

„პარლამენტმა მთავრობას გადასცა პარლამენტის ბიუჯეტის 2015 წლის პარამეტრი და 2016, 2017 წლების პროგნოზი. 2015 წლისთვის განსაზღვრულია 54 მილიონ ლარზე მეტი, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით 2 მილიონ 604 ათას ლარზე მეტია. 5%-5%-იანი ზრდაა შემდეგი წლებისთვის. აღნიშნული პარამეტრები განისაზღვრა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს და, რაც ახლა მთავრობას გადაეცა, არის იგივე. მომავალი წლისთვის იქნება პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურების ზრდა, რადგან ყველაზე დაბალი შრომითი ანაზღაურება, სამწუხაროდ, პარლამენტშია. გარკვეული თანხა – 368 ათასი მიმართულია არაფინანსური აქტივების ზრდაზე. ამასთანავე, წელს გათვალისწინებული იყო საავტომობილო პარკის შეცვლა. იმის გამო, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობამ დაგეგმილზე მეტი სამუშაო მოითხოვა, წელს ავტოპარკინგის განახლებისთვის თანხები არ დარჩება. საავტომობილო პარკი მძიმე მდგომარეობაშია და წელს დაგეგმილი ღონისძიებების მომავალი წლისთვის გადადება მოგვიწევს“, – განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნოდარ ებანოიძემ.

უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის შეფასებით, დაუმსახურებელია, რომ პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს აქვთ ყველაზე დაბალი ხელფასი, რაც კი სახელმწიფო დაწესებულებებში არსებობს.

„სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიშ გარემოში სწორედ პარლამენტის თანამშრომლები მუშაობენ, თბილისი-ქუთაისის გზაზე ცხოვრობენ. ვფიქრობ, დამსახურებულია მათთვის ხელფასების მომატება“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

რაც შეეხება ავტოპარკინგის განახლებას, ხიდაშელის ინფორმაციით, საუბარი არ არის ავტოპარკინგის სრულად შეცვლაზე.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრ ავარიას ჰქონდა ადგილი თბილისი-ქუთაისის გზაზე. რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა პარლამენტის აპარატის თანამშრომლებმა მძიმე დაზიანებები მიიღეს, ავტოპარკი გასაახლებელია, მაგრამ საუბარი არ არის სრულად შეცვლაზე“, – აღნიშნა ხიდაშელმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თინა ხიდაშელი საია-ს შენიშვნებს ვერ მიიღებს



უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი საარჩევნო კანონმდებლობასთან და პოლიტიკურ ზეწოლასთან დაკავშირებით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შენიშვნებს არ ეთანხმება.

„არ ვიცი, რას გულისხმობენ საარჩევნო კანონმდებლობის არდახვეწაში. საარჩევნო კოდექსში იმდენი პოზიტიური ცვლილება განხორციელდა, რაც ერთი საარჩევნო ციკლის ფარგლებში არასდროს მომხდარა. საბედნიეროდ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაინახა, ვინც ამ თემაზე მუშაობს და ვწუხვარ, თუ ქართულმა ორგანიზაციებმა ვერ დაინახეს.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ზეწოლას, ამ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ ფაქტებზე არ ვიმსჯელებთ, ზოგადი საუბარი ძალიან რთულია. საქართველო იყო ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი, დამლაგებლით დაწყებული, პრეზიდენტით დასრულებული, ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი იყო. ქვეყანაში უამრავი კანონდარღვევა ხდებოდა, ამიტომ ძალიან ადვილია „ნაციონალური მოძრაობისთვის“, თუკი ვინმეს დაკითხვის საკითხი დადგება, გამოაცხადოს, რომ ადგილი აქვს საარჩევნო ზეწოლას“, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

საიამ წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში წარმოადგინა. საია-ს მონიტორების მიერ საჯარო მოხელეთა მხრიდან აგიტაციის წესების დარღვევის სამი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების – ერთი, ამომრჩევლის მოსყიდვის – ერთი, საარჩევნო პროცესებთან, სავარაუდოდ, დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი დევნის – 7, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეფარდების – 18, ფიზიკური ანგარიშსწორების – 1 და სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან განთავისუფლების 9 ფაქტი დაფიქსირდა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

მომადგენლობა საქართველოში, დანიის ლტოლვილთა საბჭო, „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“, ევროკომისიის წარმომადგენლობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „გლობალური განვითარების ქსელი“. ალბათ, ხვდებით, რა ძალასთან და რამხელა დაფინანსებასთან გვაქვს საქმე. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ ხელმძღვანელებს გააჩნიათ ახლო ურთიერთობა ლევან თარხნიშვილთან, რომელიც წარსულში იყო ამ ორგანიზაციის დირექტორი და ასევე, თინა ბოკუჩავასთან, რომელიც 2009-2011 წლებში „ენდიაიში“ მუშაობის პერიოდში კურირებდა სოციოლოგიური კვლევების ჩატარების საკითხებს“.

სხვათა შორის, თუ კარგად დავაკვირდებით უკვე განვლილ მოვლენებს, აღმოვაჩენთ, რომ „ენდიაის“ დირექტორი, ლუის ნავარო ალასანიაზე 2012 წლის არჩევნების შემდეგ მუშაობს – მის მიერ ჩატარებული ყველა გამოკვლევის მიხედვით (მაგალითად, შეგიძლიათ, ნახოთ 2013 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებული კვლევა), მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შეფასებისას, მოსახლეობის უმეტესობა დადებითად ირაკლი ალასანიას საქმიანობას აფასებს (რა თავდაცვითი ღონისძიებები ჩაატარა ასეთი? – რედ.). მეორე ადგილზეა თეა წულუკიანი, ხოლო მესამეზე – შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი.



„ალასანიას პოლიტიკური სტატუსი ყოფილმა პრემიერმა მიანიჭა. მანვე გააძლიერა ის ფინანსურად. ამის მიუხედავად მინისტრს მაინც ეჯავრება ივანიშვილი. მარტო ის კი არ ეჯავრება, არამედ ყველაფერი, რაც ექსპრემიერის სახელს უკავშირდება“



„ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილის მიერ მომზადებულმა წერილმა, რომელიც „რესპუბლიკელების“ გასანადგურებლად არის გამიზნული და დღის სინათლე უსუფაშვილის ხვეწნა-მუდარის გამო ვერ იხილა, მათ ჭკუა ვერ ასწავლა“

2013 წლის სექტემბერი – ნავაროს გამოკითხვებში ისევ ალასანია ლიდერობს, მოსახლეობის 38% მის მოღვაწეობას ძალიან კარგად აფასებს. აქ ირაკლი ღარიბაშვილს ბედი ულიმის, თეა წულუკიანს ასწრებს – მოსახლეობის 34 პროცენტი მის მოღვაწეობას ძალიან კარგად აფასებს. ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყნის საშინაო საქმეებში თავდაცვის მინისტრი უმნიშვნელო როლს ასრულებს და მთელი სიმძიმე შინაგან საქმეთა მინისტრზე მოდის. ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში მაინც, ალასანია ახალ მთავრობაში „ვენოკივით“ ეკიდა და „მე რა ვქნა, მე“-ს სინდრომისგანაც არ იყო განკურნებული. სხვათა შორის, ქართველ საზოგადოებას არ ახსოვს, ნავაროს მიერ „გმირად“ გამოცხადებულ ალასანიას ერთხელ მაინც გამოეჩინა ვაჟკაცობა და ყვარყვარე თუთაბერივით ეღიარებინა: არ ვარ მე ის კაცი, თავი დამანებეთო.

და მაინც, რა სქემას აწყობენ კოალიციის თბილ სავარძლებში მოკალათებული უსუფაშვილი და ალასანია „ნაციონალებთან“ ერთად? ამის შესახებ ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვს კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარეს, ზაალ კასრელიშვილს:

„ალასანიას პოლიტიკური სტატუსი ყოფილმა პრემიერმა მიანიჭა. მანვე გააძლიერა ის ფინანსურად. ამის მიუხედავად მინისტრს მაინც ეჯავრება ივანიშვილი. მარტო ის კი არ ეჯავრება, არამედ ყველაფერი, რაც ექსპრემიერის სახელს უკავშირდება. ივანიშვილზე ის პირდაპირ შეტევას მეტად მარტივი მიზეზის გამო ვერ მიიტანს, ისინი სხვადასხვა სიბრტყეში ცხოვრობენ. ამიტომ ის დაეჯახება ღარიბაშვილს და ძირს გამოუთხრის. თუ უკვე გამოთხრილი არა აქვს. ღარიბაშვილის დასუსტებით, ის ივანიშვილის დასუსტებას შეეცდება. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ დაიწყებს ის საქართველოში სააკაშვილის ჩამოყვანაზე ფიქრს“.

წრედი შეკრულია: „რესპუბლიკელები“, ირაკლი ალასანია, ლუის ნავარო, არასამთავრობოები, „რუსთავი 2“ და აქვე მოიაზრება გიორგი მარგველაშვილიც. მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ბიძინა ივანიშვილისგან ალიყური მიიღო, ცოტა „წაატორმუზა“, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, ალბათ, მაინც უსუფაშვილის მხარეს დადგება. ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილის მიერ მომზადებულმა წერილმა, რომელიც „რესპუბლიკელების“ გასანადგურებლად არის გამიზნული და დღის სინათლე უსუფაშვილის ხვეწნა-მუდარის გამო ვერ იხილა, მათ ჭკუა ვერ ასწავლა. ამიტომ, საჭიროა (და ასეც იქნება) ყოფილმა პრემიერმა აღარ დააყოვნოს და ყველას თავისი სახელი დაარქვას.

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/11 ფასთა ღია გამოკითხვას №9 ენერგობლოკის საკაბელო კავშირებისა და განათების ქსელების შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა, წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 4 ივნისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/10 ფასთა ღია გამოკითხვას №2 დიაგონალური ტუმბოს შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა, წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 4 ივნისი 15 საათი.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვინ არ ასრულებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს?



სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, 5 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა სხვადასხვა უწყებებს სულ 614 რეკომენდაცია გაუგზავნა, თუმცა აქედან მხოლოდ ნახევარი – 309 შესრულდა, 21 რეკომენდაცია უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს.

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2013 წელს გაგზავნილ რეკომენდაციათა შესრულება. შესრულების ყველაზე მაღალი ხარისხი – 100% წარმოაჩინა უზენაესმა სასამართლომ, საქართველოს პრეზიდენტმა, სერვისების განვითარების სააგენტომ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, გლდანი-ნაძალადევის გამგეობამ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა. სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაცია არ შეასრულა იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, პარლამენტმა, ფინანსთა სამინისტრომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, რუსთავის მერიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ასევე, არ გაითვალისწინა ქვეყნის ათამდე მუნიციპალიტეტმა“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე განმარტებით, ყველაზე მეტი რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურატურას, სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს გადაეგზავნა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დარბაისელის კბილებამდე შეიარაღებულ ჯარს მთავრობაზე იერიშის მიტანა შეუძლია“



სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩევლის ლალი მოროშკინას განცხადებით, რამდენიმე კვირის წინ სასჯელაღსრულების რუსთავის მე-17 დაწესებულებაში იყო ბუნტის მცდელობა, რომლის ჩახშობაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დიმიტრი დარბაისელს სისხლით სურდა, თუმცა სასჯელაღსრულების მინისტრმა მას ამის საშუალება არ მისცა. მისივე თქმით, დიმიტრი დარბაისელი „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერია, შეკრულია ოპოზიციასთან და მათი ინტერესების გატარებას ემსახურება, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი ჩაფიქრებული აქვს, ციხეში სიტუაცია არიოს და ამისთვის დარბაისელს იყენებს.

„დარბაისელს ჰყავს 250-კაციანი კბილებამდე შეიარაღებული ჯარი, რომლის გამოყენების უფლებაც აქვს და რომელსაც დღესვე შეუძლია, იერიში მიიტანოს თუნდაც მთავრობაზე. მზადდება გადატრიალება და მის სათავეში არის დარბაისელი, მისი „ნაციონალური მოძრაობა“, – განაცხადა მოროშკინამ.

მისივე თქმით, დეპარტამენტის სისტემაში შემოსული ადამიანები ძალიან ცუდ და მძიმე სამუშაოს უწევენ ქვეყანას, რომელიც მათი სამშობლო არ არის, რადგან ზონდერებს სამშობლო არ აქვთ.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ მათ სურდათ, საიდანღაც აერიათ სიტუაცია და ეს ადგილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იპოვეს“, – განაცხადა ლალი მოროშკინამ. (ფრონტნიუსი)

# უსუფაშვილის კონფერენციაზე გამოსვლამ სასულიერო პირები აღაშფოთა



„თუ საპატრიარქო ამ მოღალატეებს პასუხს არ მოსთხოვს და სასჯელს არ მიაგებს, უშუალოდ მე გადავცემ მათ ანათემას, დარწმუნებული ვარ, დღესაც იხსენიებენ ლოცვებში უღირს ხელისუფლებას, ვერ აცნობიერებენ, რა ჩაიდინეს მათ“

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმს, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეძღვნებოდა, სასულიერო პირებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა და ძალიან უცნაური განცხადება გააკეთა: „ორი ათასი წელი იწურება მას აქეთ, რაც თავს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ვთვლით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ღვთისმშობელს თავისი წილხვედრი ქვეყანა არასოდეს უნახავს, საფიქრებელია, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციურადაა, გახდება თუ არა რეალურად, ეს ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“.

ამ განცხადებამ სასულიერო პირების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. მამა არჩილ მინდიაშვილმა უსუფაშვილს ვრცელი წერილით მიმართა. გთავაზობთ მის მოკლე მონაკვეთს: „ჩემო კეთილო, ბ-ნო პარლამენტის თავმჯდომარევ, გავეცანი რა თქვენს გამოსვლას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეძღვნებოდა, როგორც ამ ეკლესიის მღვდელმსახურმა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქემ განვიზრახე თქვენთვის პასუხი მიმეგო. აქედანვე, რომ ვთქვა საზოგადოდ, ეს სიტყვა იყო ცილისწამება ჭეშმარიტებაზე, გამოთქმული არაწმიდა კადნიერებით (არსებობს წმინდა კადნიერებაც), თქვენთვის დამახასიათებელი მენტორული ტონით, ამჯერად გამოთქმული უკვე არა პარლამენტის ტრიბუნიდან, არამედ ერთმორწმუნე მართლმადიდებელთა, სამღვდელოთა და საეროთა, კრებულის წინაშე (სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული მართლმადიდებელი ღვთისმეტყველნიც ბრძანდებოდნენ). აშკარად ჩანდა, რომ ვერ მალავდით აღელვებასა და გაღიზიანებას...“

„ალია“ მამა არჩილს დაუკავშირდა, მაგრამ მან ინტერვიუზე უარი გვითხრა.

ამის შემდეგ დავუკავშირდით გლდანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარს, **მამა ბასილი მკალავიშვილს:**

**— მამაო, როცა პოლიტიკოსი სასულიერო პირებთან ასეთ რამეს ამბობს, ხომ იცის, რომ ეს ამბავი გახმაურდება. რატომ მოიქცა ასე უსუფაშვილი?**

– რატომღაც, თუ ეკლესია რაიმე ღონისძიებას ან სინოდის კრებას ატარებს, ყოველთვის იწვევენ მთავრობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ისეთ პიროვნებებს, რომლებიც აშკარად ებრძვიან ღმერთს. უსუფაშვილისგან ცუდის გაკეთება გასაკვირი არ არის, ის უნდა გაგვიკვირდეს, რაიმე კარგი გააკეთოს. როგორ შეიძლება, თუ შენ ქართველი ხარ, თქვა, რომ ღვთისმშობელს არ უნახავს საქართველო. ეს რომ თქვა, სასულიერო პირებმა რატომ იქვე არ შეაჩვენეს? რატომ არ ჩააგონეს იმ უგუნურს, რომ საქართველოში საქადაგებლად დედა ღვთისა უნდა წამოსულიყო და რატომ არ წამოვიდა? რამდენი სასწაული უნდა გვიჩვენოს უფალმა, თუმცა მათგან არაფერია გასაკვირი, სააკაშვილს გადააჭარბეს ბოროტებით. დეისაძის დონეზე რომ დადგება პარლამენტის თავმჯდომარე, კიდევ კარგად მოვაღწიეთ ჩვენ აქამდე. ესეც ერთი სასწაულია, რომ ამ მიწიერ ცხოვრებაზე პატრონი არა გვყავს, მხოლოდ უფალია ჩვენი პატრონი.

ეს ამბავი რომ გახმაურდებოდა, ძალიან კარგად იცოდა უსუფაშვილმა, სწორედ ეს მიზანი ჰქონდა მას, რომ დასავლეთის ძმებს უფრო გაახარებდა, რაც უფრო დაუპირისპირდებოდა ეკლესიას.



„უსუფაშვილისგან ცუდის გაკეთება გასაკვირი არ არის, ის უნდა გაგვიკვირდეს რაიმე კარგი გააკეთოს. როგორ შეიძლება, თუ შენ ქართველი ხარ, თქვა, რომ ღვთისმშობელს არ უნახავს საქართველო“

**— „რესპუბლიკელები“ ეკლესიას ებრძვიანო, ხშირად მომისმენია სასულიერო პირებისგან, მაგრამ ახლა, ასეთი დემარში რის მანიშნებელია?**

– „რესპუბლიკელები“ ეკლესიას ადრეც ებრძოდნენ, ახლა კი აქტიურ ფაზაში არიან შესული. სხვა მოღალატეებთან ერთად, სწორედ მათ შეიმუშავეს ანტიდისკრიმინაციული კანონი. დაბეჩავებული ხალხის ხმებით მოკალათდნენ თბილ სავარძლებში, რასაც ვერასოდეს ეღირსებოდნენ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი და ახლა იმას ცდილობენ, როგორ გამოუთხარონ ძირი ყოველგვარ ქართულს, ეროვნულს, ტრადიციულს, ზნეობრივს და რაც მთავარია, სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ დაეცა ივანიშვილის რეიტინგი, რომ ეს ქართველთმოძულენი დაიყენა გვერდით და მათ მიანდო ქვეყნის მართვა. ჩემს ინტერვიუებში გამუდმებით ვუწერდი, მოეშორებინა

*გაგრძელება მე-8 გვ.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვახო სანაიას „რეპორტაჟი“ აბსურდული და ფაქტობრივ ცდომილებებზე აგებული იყო“




საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და კოალიცია „ქართული ოცნება“ ტელეკომპანია „მაესტროსა“ და მის ჟურნალისტ ვახო სანაიას ტენდენციურობაში ადანაშაულებენ.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ რეალურად შეასრულა ერთ-ერთი მთავარი დანაპირები – მედია გაათავისუფლა ხელისუფლების ნებისმიერი ზეწოლისგან. დღეს საზოგადოებას არ აქვს ეჭვი და მცირედი კითხვაც, რომ რომელიმე ტელევიზიას ხელისუფლება მართავს ან მისგან რაიმე სახის ზეწოლას განიცდის. მედიის თავისუფლების ხარისხის გაზრდას ადასტურებს საერთაშორისო კვლევები და რეიტინგები. ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი დემოკრატიის გზაზე მდგომი ქვეყნისთვის. ამავე დროს, თავისუფალი მედიაგარემო ზრდის ტელევიზიებისა და ჟურნალისტების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე – მიაწოდონ მაყურებელს მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია. ძნელია, მიუკერძოებელი ეწოდოს ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთ გადაცემას, რომელსაც ჟურნალისტი ვახო სანაია უძღვებოდა. თავის საავტორო გადაცემაში ჟურნალისტმა მაყურებელს მთავარ თემად შესთავაზა „ქართული ოცნების“ დაპირებები, რომელთაგან გამოყო სოციალური საკითხები, სამართლიანობა, საგარეო პოლიტიკა. სიუჟეტები ატარებდა აშკარად ტენდენციურ ხასიათს. გადაცემის მსვლელობისას, ჟურნალისტი ცდილობდა, შეექმნა სურათი, თითქოს ხელისუფლებამ არც ერთი დაპირება არ შეასრულა. ამ სიცრუის გამყარებისთვის მან ქუჩაში ხალხის გამოკითხვის ხერხსაც მიმართა და ისეთი პასუხები შეარჩია, რომელიც გადაცემის მთავარ ხაზს გააძლიერებდა. ობიექტურობაზე პრეტენზიის მქონე ჟურნალისტს, ალბათ, არ უნდა გამორჩენოდა, რა მძიმე მემკვიდრეობა დახვდა ახალ ხელისუფლებას და ორ წელიწადში უკვე არსებობს თვალსაჩინო შედეგი, რომელსაც ყოველდღე გრძნობს მოსახლეობა. ხალხი ხედავს, რომ სწორედ ამ ხელისუფლებამ გაათავისუფლა სასამართლო და არ ერევა მის გადაწყვეტილებებში; გაათავისუფლა ბიზნესი, მედია; განთავისუფლებულია ათასობით პატიმარი, გაზრდილია სოციალური დახმარებები, განხორციელდა ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც მსოფლიო ბანკმა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ წარმატებულად აღიარეს. ამოქმედდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომლის დახმარებითაც ქვეყანას 5 წელიწადში ეყოლება საერთაშორისო განათლების მქონე, მაღალკვალიფიციური კადრები. მოქმედებს უფასო სახელმძღვანელოებისა და უფასო ფაკულტეტების პროგრამა. წარმატებით მიმდინარეობს სოფლის დახმარების პროგრამა, რომლითაც ასევე ასობით ათასმა მოქალაქემ ისარგებლა. გასულ წელს 700 000 ოჯახი, წელს კი 800 000 ოჯახი ჩაერთო სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამაში. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, დაკავებულია არაერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომლებსაც ბრალი აქვთ წაყენებული უმძიმესი დანაშაულისთვის. იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე და არანაკლებ მძიმე პოლიტიკური ბრძოლებისა და კოჰაბიტაციის პირობებში, ცხადია, ვერ იქნებოდა მიღწეული ყველა სასურველი შედეგი. თუმცა, აშკარად ჩანს პოზიტიური ტენდენციები და 4-წლიანი ციკლისთვის მთავრობის დანაპირების შესრულება სრულიად რეალისტური და ოპტიმისტურია. ჩვენ არ გვაქვს პასუხი, რა მოტივაცია ამოძრავებდა ტელეკომპანია „მაესტროს“ და მის ჟურნალისტს, რომ ტენდენციურად წარმოეჩინა რეალობა. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ საზოგადოება თავად განსჯის და შეაფასებს, რას ენდოს და რას – არა“, – აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებაში.

კოალიცია „ქართული ოცნება“ „მაესტროზე“ გასულ „რეპორტაჟს“, „აბსურდულსა და ფაქტობრივ ცდომილებებზე აგებულს“ უწოდებს.

„არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ზოგიერთი მედია¬ საშუალების მხრიდან იმატა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებისა და მისი ლიდერების მიმართ ყოველგვარ საფუძველსმოკლებულმა ცილისმწამებლურმა ბრალდებებმა. ამის ცალსახა დადასტურებაა ვახო სანაიას გადაცემა „რეპორტაჟში“ გასული სიუჟეტი ნეპოტიზმის შესახებ, რომლითაც ჩვენი პარტიისა და კოალიციის წევრები დადანაშაულებულები იყვნენ ნათესავებისა და მეგობრების დასაქმებაში. სიუჟეტი იმდენად აბსურდული იყო, რომ საქართველოს პარლამენტის არჩეული წევრი ლექსო თამაზაშვილიც კი ნეპოტიზმის შედეგად დასაქმებულად მოიხსენიეს. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი ფაქტობრივ ცდომილებებზე იყო აგებული. თანამდებობის პირად მოხსენიებული ზოგიერთი ადამიანი საერთოდ არ მუშაობს საჯარო სექტორში, გარკვეული ნაწილი კი, ვინც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაუბრუნდა საკუთარ პროფესიას.

„ქართული ოცნება“ მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ, 13 000-მდე ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის პარალელურად წამოწყებული მიზანმიმართული კამპანია, გარკვეული ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება და ტელემაყურებლის შეცდომაში შეყვანას ცდილობს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ტელეკომპანია „მაესტრო“ ჩადგება იმ მედიასაშუალებების რიგში, რომლებიც მათ ხელთ არსებულ ტრიბუნას, არაობიექტური ინფორმაციის ტირაჟირებისთვის იყენებენ.

მოვუწოდებთ ყველა მედიასაშუალებას, კონკრეტულ თემაზე მუშაობისას, ამომწურავად შეისწავლონ თითოეული საკითხი და თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან“, – ნათქვამია „ქართული ოცნების“ განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

საქართველოს დაუძინებელი მტრები „რესპუბლიკელების“ სახით. ეს პარტია ჯერ ზვიად გამსახურდიას ებრძოდა, რადგან არ უნდოდათ საქართველო დამოუკიდებელი ყოფილიყო, მათი მიზანია, საქართველო იყოს ამერიკელი და ევროპელი მამათმავლების მორჩილი, არ უნდათ, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი ქვეყანა.

**— სადამდე ეყოფა უტიფრობა ხელისუფლებას?**

– იცით, სადამდე? მანამ, სანამ საპატრიარქოს თბილ ბალიშზე უდევს თავი და უზრუნველად სძინავს. როგორც ღვთისმსახურს, მწამს, რომ ლოცვას უდიდესი ძალა აქვს, მაგრამ რწმენა საქმის გარეშე მტყუარ არს... გასულ წელს გახსოვთ ხალხის სიმრავლე რუსთაველზე? წელსაც ნახავდით, ალბათ. ახლა მე გეკითხებით, იქ მთელი საქართველო არ უნდა მდგარიყო? მტრებს ენახათ, რომ ჩვენი ერი ერთსულოვანია და მტკიცედ იცავს ტრადიციებს და ამით ეჩვენებინათ მათთვის, რომ მამათმავლები ჩვენთან ფეხს ვერ მოიკიდებენ! რამდენ კითხვას უნდა გასცეს პასუხი საპატრიარქომ? თუ საპატრიარქო ამ მოღალატეებს პასუხს არ მოსთხოვს და სასჯელს არ მიაგებს, უშუალოდ მე გადავცემ მათ ანათემას, დარწმუნებული ვარ, დღესაც იხსენიებენ ლოცვებში ულირს ხელისუფლებას, ვერ აცნობიერებენ, რა ჩაიდინეს მათ.

**— იყო დრო, სინოდის კრებას რომ სოსო თოფურიძე ესწრებოდა. ახლა თოფურიძე ვინმემ ჩაანაცვლა, თუ რა ხდება?**

– რამდენჯერ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ხელისუფლებას, გიჟი სააკაშვილის დროსაც და ახლაც ყურით უჭირავს საპატრიარქო. ცდილობ, მაგრამ ვერ აჟღერებ იმის აღმოფხვრას, რომლისგანაც თვით განსაწმენდი ხარ, ალბათ, მიმიხვდებით რის თქმაც მინდა. აი, ამით ემუქრებიან მათ. ადრე თუ სინოდს თოფურია და ბოკერია მართავდა, ის დღეს ჩაანაცვლა „რესპუბლიკურმა პარტიამ“. საპატრიარქომ 17 მაისს აჩვენა თავისი რეალური სახე, ამ დღეს რუსთაველის პროსპექტზე მარტო მამა ელიზბარი (დიაკონიძე) უნდა მდგარიყო და არა სრულიად საქართველო, სასულიერო პირებთან ერთად? სანამ უნდა ვიყოთ ასე გონებადახშულნი, ვერ ვხვდებოდეთ, რომ ქვეყანა თავზე გვენგრევა, პარლამენტის შემადგენლობაში მინახავს მტრები, პიროვნებების სახით, მაგრამ ის, რომ ყველა ერთ ჭკუაზე იდგეს ქვეყნის საზიანოდ, პირველად ვნახე. ამას გვპირდებოდა ჩვენ ივანიშვილი? ვიცოდით, რომ ის წავიდოდა და ისე დაალაგებდა ყველაფერს, როგორც ქართველ ერს ეკადრება.

17 მაისის გახსენება შემაძრწუნებელია ყველა ქართველისთვის, რამეთუ ეს დღე უნდა აქციონ მამათმავალთა დღესასწაულად. ამიტომაც იყო, რომ ღმერთმა მოგვცა ნიშანი, ხომ ხედავთ, რა ღვთის რისხვა დაატყდა დარიალის ხეობას. ღმერთი ზემოდან არ ჩამოვა და არ გვეტყვის ეს მე გავაკეთეო. როგორც აღდგომის წინა დღით გვიგზავნის სასწაულებრივ ცეცხლს და ამით თანადგომას გვიდასტურებს, ასევე, ჩვენვე უნდა მივხვდეთ სასჯელსაც.

რამდენიმე კვირის წინ პარლამენტმა შეიმუშავა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, რომელიც განიხილეს და ერთსულოვნად დაამტკიცეს. სოდომისეულ კანონს ხელი მოაწერა პრეზიდენტმაც. გლდანის მართლმადიდებელი ეპარქია სამშობლოს ღალატსა და სარწმუნოების შეურაცხყოფას არავის აპატიებს.

ამ კანონის ამოქმედება ყოვლად მიუღებელია ძირძველი ტრადიციული მართლმადიდებელი ქვეყნისთვის. სამწუხაროდ, ყოველივე უმსგავსობის მიღება ხდება ისევ ვაიქართველთა ხელშეწყობით, რათა დასავლელი ძმებისგან მიიღონ აურაცხელი გრანტი გარყვნილების პროპაგანდის საფასურად, რომელიც ყოვლად მიუღებელია ქართველი ერისთვის.



**„ამიტომაც იყო, რომ ღმერთმა მოგვცა ნიშანი, ხომ ხედავთ, რა ღვთის რისხვა დაატყდა დარიალის ხეობას. ღმერთი ზემოდან არ ჩამოვა და არ გვეტყვის ეს მე გავაკეთეო. როგორც აღდგომის წინა დღით გვიგზავნის სასწაულებრივ ცეცხლს და ამით თანადგომას გვიდასტურებს, ასევე, ჩვენვე უნდა მივხვდეთ სასჯელსაც“**



**„პარლამენტის მიერ ჩადენილი ქმედება მიუტევებელი ცოდვაა, რომელიც მკაცრად მოეთხოვებათ მათ, ამიტომ ღვთისმგმობი, ფარისევლების, მწიგნობრების შესაკრებელი უნდა დაიშალოს, ისინი ღირსი არ არიან, მართონ ქვეყანა, ებრაელების შემდეგ მათ მეორედ აცვეს უფალი ჯვარს“**

თითოეული მორწმუნე ვალდებული ვართ წინაშე უფლისა, ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად მოგვიტანეს დღემდე, ასევე, შეურყვნელად გადავცეთ მომავალ თაობას, თავიდანვე აღმოვფხვრათ ყოველივე უკეთურება, რათა ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს არ მოუხდეთ ჩვენი შეცდომების გასწორება. ეს ღმერთის ღალატია, მისი მცნებების, წმინდა სახარების, ბიბლიის უარყოფა.

მრავალრიცხოვანმა მრევლმა, მოძღვრებთან ერთად, უნდობლობა გამოუცხადა იმ მთავრობას, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებდა შეჭირვებული ხალხი, შეურაცხადი სააკაშვილის ცხრაწლიანი ფაშისტური რეჟიმის შემდეგ. ფაქტობრივი ხელისუფლება ისეთი შენიღბული დაპირებებით წარდგა საზოგადოების წინაშე, იფიქრეს, მშველელი მოვიდაო, მაგრად მწარედ მოტყუვდნენ, დაპირებები ჰაერში დარჩა, ხალხის პირობების გაუმჯობესებისთვის არაფერი გაკეთებულა, პირიქით, საქართველოს ისტორიას მსგავსი ღალატი არ ახსოვს. კომუნისტებიც იბრძოდნენ ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ უზნეობის, სულიერი გახრწნის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. პარლამენტის მიერ ჩადენილი ქმედება მიუტევებელი ცოდვაა, რომელიც მკაცრად მოეთხოვებათ მათ, ამიტომ ღვთისმგმობი, ფარისევლების, მწიგნობრების შესაკრებელი უნდა დაიშალოს, ისინი ღირსი არ არიან, მართონ ქვეყანა, ებრაელების შემდეგ მათ მეორედ აცვეს უფალი ჯვარს. ასევე, მოვითხოვთ ულირსი სახალხო დამცველის ნანუაშვილის თანამდებობიდან გაშვებას.

**— საპატრიარქო მოზომილი პოზიციებით რატომ გამოირჩევა? არადა, მისგან ელოდება მრევლი მკვეთრ განაცხადს.**

– ვნახოთ, მოსთხოვს კი ხელისუფლებას საპატრიარქო მკაცრად კანონის გაუქმებას? მერამდენეჯერ უნდა იყვნენ სახელმწიფოსგან მართვადი.... უჭირს დღეს საქართველოს. მტრების ასეთი ერთსულოვანი ღალატი ახლა ვიწვნიეთ, ამიტომ მხოლოდ ერთად დგომა გადაგვარჩენს. შევევედროთ უფალს, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენნი, ვევედროთ ყოვლადწმინდა დედას, გაგვიწიოს შუამდგომლობა წინაშე ძისა მისი წილხვედრი საქართველოს გადარჩენისთვის. მართალია, ხელისუფლება ყოვლად შეუწყნარებელ ქმედებებს სჩადის, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან მორწმუნენი, რომლებიც მხოლოდ უფლის მცნებებს იცავენ და მიჰყვებიან ქრისტეს ეკლიან გზას, რამეთუ სხვა გზა ხსნისა არ არსებობს, რამეთუ ღმერთი გულმოწყალეა, არ გაგვწირავს.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მივდივარ და არ მიშვებენ“? — არ მჯერა!“



ექსპერტი კახი კახიშვილი სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებებს ეხმაურება, რომლებიც უწყებაში რამდენიმე თანამშრომლის მიერ აღებულ პრემიებსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ დიმიტრი დარბაისელს ეხება.

„სუბარმა თავადვე თქვა, რომ სიტუაციას ვერ აკონტროლებს, რომ ეს არ მოსწონს, ის არ მოსწონს, მაგრამ ის ამ პრობლემებს ვერ აგვარებს. როგორც ჩანს, დარბაისელს სამინისტროში ცალკე ავტონომია აქვს, მინისტრი მას ვერ აკონტროლებს და სუბარი ამას ეგუება. რატომ ვერ მართავს სიტუაციას? მიბმულია სკამზე? არ აქვს მნიშვნელობა, არიან თუ არა დასაქმებულები სამინისტროში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და ურევენ თუ არა სიტუაციას უწყებაში, რადგანაც ხელისუფლებაში არის „ქართული ოცნება“ და მიმდინარე საკითხებზე პასუხისმგებლობა სწორედ მას აკისრია. გადაბრალება არ არის სწორი. „მივდივარ და არ მიშვებენ“? – არ მჯერა!“, – განაცხადა კახიშვილმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „აწარმოე საქართველოში“ — წინასაარჩევნო ტყუილი?




„ნაციონალურ მოძრაობაში“ ეჭვობენ, რომ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ „ქართული ოცნების“ აუსრულებელი დაპირებების სიას შეუერთდება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ მთავრობამ გააცნობიერა ქვეყანაში ეკონომიკის ხელშეწყობის აუცილებლობა და, როგორც ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებებიდან იკვეთება, ცდილობს, იპოვოს გამოსავალი ბოლო 1.5 წელიწადში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობიდან. თუმცა ამავე დროს, გვსურს, აღვნიშნოთ შემდეგი:

მთავრობის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან შევიტყვეთ, რომ ინიციატივა „აწარმოე საქართველოში“ გულისხმობს კერძო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულ ბიზნესსესხებზე სახელმწიფოს მიერ გარანტიის გაცემას და საპროცენტო განაკვეთის 10%-ის დაფინანსებას. პრემიერ-მინისტრი, ისევე როგორც სხვა მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ ამ გზით მოხდება საქართველოს ყველა სოფელში თითო საწარმოს შექმნა. ანუ, მთავრობა სთავაზობს თითოეულ მოქალაქეს (მასწავლებელს, ექიმს, პოლიციელს, საცალო მოვაჭრეს, პენსიონერსა და სხვა) საკუთარი ფულით დააფინანსონ ისეთი საწარმოების შექმნა, რომელთა დაფინანსებასაც ვერ რისკავენ არსებული ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოთქვამს ეჭვს, რომ მთავრობის ეს ინიციატივა არის მორიგი წინასაარჩევნო ტყუილი და ის შეუერთდება „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებათა არსებულ ვრცელ სიას. ეჭვის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ამ ინციატივის სრულფასოვანი დაფინანსებისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრები საქართველოს ბიუჯეტში, უბრალოდ, არ არსებობს. გვსურს შევახსენოთ საზოგადოებას, რომ უკვე არსებული ვალდებულებების დაფინანსების მიზნით, წელს, ხელისუფლებამ დაგეგმა უპრეცედენტოდ დიდი მოცულობის, 1,6 მილიარდი ლარის სესხის აღება.

ამავე დროს, გვსურს, აღვნიშნოთ, რომ თუ მთავრობა მართლა დააპირებს აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას, შედეგად მივიღებთ: საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ფულის ფლანგვას, ახალ კორუფციულ გარიგებებს, რომლებშიც მაღალი ალბათობით კვლავ გარეული იქნებიან „ქართული ოცნების“ ლიდერები, მათი ნათესავები და მეგობრები. თუ ხელისუფლებას რეალურად სურს ბიზნესის წახალისება და ეს ინიციატივა არ არის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, ამისთვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: გადასახადების დაწევა, საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, მორატორიუმის დაწესება ეკონომიკური გარემოს ცვლილებებზე. მოვუწოდებთ ქვეყნის დე ფაქტო მმართველს, ბიძინა ივანიშვილს, თავად გარისკოს და დააფინანსოს აღნიშნული წამოწყება თუ მიიჩნევს რომ ის ფინანსურად მომგებიანია. სხვა შემთხვევაში, თავი დაანებოს საქართველოს მოქალაქეების ფულით თამაშს. სწორედ ასეთი გაუაზრებელი ინიციატივების გამო 2013 წლის ბიუჯეტის სახარჯო ნაწილი გაირღვა 700 მილიონ ლარზე მეტით, რაც დაკარგული 1,000-ლარიანი დახმარების ტოლფასია თითოეული პენსიონერისთვის“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# გადადგება თუ არა სოზარ სუბარი თანამდებობიდან?




გადადგება თუ არა სოზარ სუბარი მინისტრის პოსტიდან? ეს ყველაზე მეტად, ალბათ, სოზარ სუბარს უნდა აწყობდეს. როგორც თავად თქვა, რამდენჯერმე მიმართა თხოვნით ჯერ ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს, გაეთავისუფლებინა მინისტრის პოსტიდან. ეს ის პერიოდია, როცა მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ განათლების მინისტრის პოსტი დატოვა. თუმცა, მაშინ ივანიშვილმა უთხრა, რომ სწორედ იქ ხედავდა სუბარის ადგილს. სუბარის უწყებაში აგორებული სკანდალი რით დასრულდება, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ, თუმცა ფაქტი ერთია, ლალი მოროშკინა, რომელიც მრჩევლის პოსტიდან გაათავისუფლეს, ალბათ, ბევრს გადაიყოლებს. სწორედ ლალი მოროშკინამ „გატეხა ციხე“ შიგნიდან და გამაოგნებელი ფაქტები გამოიტანა სააშკარაოზე. მისი განცხადებით, რამდენიმე კვირის წინ სასჯელაღსრულების რუსთავის მე-17 დაწესებულებებში იყო ბუნტის მცდელობა, რომლის ჩახშობაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დიმიტრი დარბაისელს სისხლით სურდა, თუმცა მინისტრმა სუბარმა ამის საშუალება არ მისცაო, – აცხადებს ლალი მოროშკინა. დარბაისელს ჩაფიქრებული აქვს, ციხეში სიტუაცია აურიოს და ამისთვის ჰყავს 250-მდე კბილებამდე შეიარაღებული ჯარი, ნებისმიერ დროს აქვს საშუალება, გამოიყენოს შეიარაღებული ჯარი, მიიტანოს იერიში თუნდაც მთავრობაზე, მზადდება გადატრიალება და მის სათავეში არის დარბაისელი, ზურგს კი „ნაციონალური მოძრაობა“ უმაგრებსო. მოროშკინა ითხოვს, რომ სასწრაფოდ განთავისუფლდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დარბაისელი. დარბაისელი არა, მაგრამ ამ ეტაპზე თანამდებობიდან განთავისუფლდა ლალი მოროშკინა, თუმცა, როგორც ჩანს, წინ კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება.

**ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— თვლით თუ არა, რომ სოზარ სუბარი თანამდებობიდან უნდა გადადგეს?**

– როდესაც ადამიანის უფლებადამცველი იბარებს ამ სისტემას, ის არის ძალიან გაორებულ მდგომარეობაში. ერთი მხრივ, ადმინისტრირება საჭირო, მეორე მხრივ, მთელი შენი შინაგანი ბუნება ეწინააღმდეგება იმას, რასაც ჰქვია პატიმრის უფლებების დარღვევა და ასე შემდეგ. ამიტომ სოზარი ადამიანურად მეცოდება. მისი თვისებები არის უფრო უფლებადაცვითი, უფრო სხვა მიმართულების, თვითონაც გრძნობს ამას და ამიტომაც, არაერთხელ მიმართა მთავრობის ხელმძღვანელს თხოვნით, რომ დატოვოს თანამდებობა. მაგრამ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და როცა ხარ გუნდში, მინისტრთა კაბინეტში, შენ არ ხარ თავისუფალი. ამიტომ მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ამას ემატება საერთო კოჰაბიტაციის კონტექსტი, საიდანაც სუბარი ვერ ამოვარდება. ეს არის ხელისუფლების კურსი. ამ კოჰაბიტაციის შედეგი მარტო ის კი არ არის, ჩაჩუმებული „ნაციონალები“ ახლა ასე უტიფრად და თამამად რომ გველაპარაკებიან ტელეეკრანებიდან, ყველაზე ცუდი არის ის, რომ საშუალო და დაბალ რგოლებში დარჩა ის ხალხი, რომლებიც ადამიანის უფლებებს წლების მანძილზე არღვევდნენ. როდესაც გუშინდელი „ნაციონალები“ ხდებიან დღევანდელი „მეოცნებეები“, იქ უკვე ჩნდება ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი და ეჭვი. მე არ მესმის, რამდენად შეიძლება დაეყრდნო იმ ადამიანს, რომელიც იყო გუშინ სხვა პოლიტიკურ გუნდში და დღეს „ოცნებაში“ ამოყო თავი. ეს ის ხალხია, რომელთაც რეჟიმი ასწავლიდა ადამიანების დარბევას. ჩამოყვანილები ჰყავდათ დასავლეთიდან ინსტრუქტორები, რომლებიც ციხის ბუნტის ჩახშობასაც ასწავლიდნენ და მიტინგების მიმართ ანგარიშსწორებასაც. შეგახსენებთ სააკაშვილის ცნობილ განცხადებას 26 მაისთან დაკავშირებით, ამერიკიდან სპეცჯგუფი იყო ჩამოსული და ისინი აკვირდებოდნენ მიტინგის დაშლასო. მთელი ჯგუფი იყო ჩამოსული, რომლებიც ასწავლიდნენ „ზონდერებს“, როგორ უნდა დაერბიათ მიტინგები. შესაბამისად, ის გუნდი, რომლებიც ამათ დარბევების ხელოვნებას ასწავლიდნენ, ხომ არ დაწერდნენ, რომ დარბევა დარღვევებით მოხდაო, მაგრამ მათაც კი ვერ აარიდეს თავი დასკვნაში იმის თქმას, რომ გამოყენებული იყო არაადეკვატური ძალა. აი, ეს ხალხი მუშაობს დღემდე სისტემაში. მე არ ვიცი, ჰყავთ თუ არა დღემდე ის ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებიც ძალოვან უწყებაში ისხდნენ. როცა ბიძინა ივანიშვილს უსვამდნენ კითხვას, რატომ წავიდა კოჰაბიტაციის გზით, მან პირდაპირ მიუთითა, ორიენტირი საით იყო და თქვა, რომ სხვანაირ მოქცევას დასავლეთი ვერ გაგვიგებს. კი ბატონო, გასაგებია, ეს შეიძლება ეხებოდეს მაღალ პოლიტიკურ ეშელონებს, მაგრამ რატომ არ ხდება ეს ქვედა რგოლში. თუ ამ ხალხს დატოვებენ საჯარო სამსახურებში, როდის გამეორდება იგივე, რაც ადრე ხდებოდა, ეს არავინ იცის.

> **„მაგრამ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და როცა ხარ გუნდში, მინისტრთა კაბინეტში, შენ არ ხარ თავისუფალი. ამიტომ, მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ამას ემატება საერთო კოჰაბიტაციის კონტექსტი, საიდანაც სუბარი ვერ ამოვარდება. ეს არის ხელისუფლების კურსი“**



**— ლალი მოროშკინა ავრცელებს ინფორმაციას, რომ მზადდება გადატრიალება, რომლის სათავეშია დარბაისელი და მას ზურგს „ნაციონალური მოძრაობა“ უმაგრებს. როგორც ჩანს, „ნაციონალები“ ცდილობენ, ვენდეტა ციხიდან განახორციელონ კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. ფაქტია, ვერ ინელებენ ციხის კადრებს, რამაც მათ მარცხი მოუტანა.**

– მოგეხსენებათ, „ნაციონალებს“ კინოსტუდიები და სამონტაჟოები აქვთ გახსნილი. ახლა, ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გეტყვით, ადგილობრივი არჩევნებისთვის ამზადებენ ფილმს, თითქოს დადგმული იყო ცოცხის კადრები, ამათ ცოცხზე აქვთ გართულება. იმას ვერ უარყოფენ, რომ კარანტინში პატიმრებს აწამებდნენ, ამიტომ ცდილობენ, გააბათილონ ის ამაზრზენი „ცოცხის კადრები“. ახლა მიდის ამ სცენარების დამუშავება, მონტაჟი და ერთი ამბავი აქვთ, იგივეს გამეორება უნდათ. იმდენად არიან გამწარებულები, რომ ჰგონიათ, ამით სიტუაციას შემოატრიალებენ, მაგრამ იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ აქედან არაფერი გამოვა. ნიკა გვარამია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელად რომ გვევლინება, გავიხსენოთ, ვინ იყო – ამისთანა ფილმების პროდიუსერი.

**— „ნაციონალები“ დაბრუნების გეგმაზე აქტიურად მუშაობენ. ერთ-ერთი ვერსიით, მუშაობენ ალასანიაზე. კულუარებში არის მოლოდინი, რომ ალასანია „ნაციონალების“ სასარგებლოდ ითამაშებს. რამდენად შესაძლებელია**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...**

## დედა პარასკევა სამთავროს დედათა მონასტერში დაბრუნდა



სამთავროს დედათა მონასტრის დარაჯის, ვაჟა ლომიძის განცხადებით, დედა პარასკევა უკვე ორი კვირაა, მონასტერშია.

„დედა პარასკევა მონასტერში მას შემდეგ იმყოფება, რაც დედამისი დაკრძალეს. მისი დედა მონაზონი იყო. მრევლი დედა მატრონას სახელით იცნობდა. დედა მატრონა სამთავროს დედათა მონასტერში დაკრძალეს. დაკრძალვის მეორე დღიდან დედა პარასკევა სამთავროს მონასტრის კელიაში ცხოვრობს“, – აღნიშნა ვაჟა ლომიძემ.

დედა პარასკევას ახლობელი აცხადებს, რომ დედა პარასკევა კელიაში განმარტოებით იმყოფება და მას პირადი ტელეფონიც ჩამოართვეს.

„დედა მატრონა რომ დაკრძალეს, საფლავზე ვიყავით გასულები. დედაოებმა უთხრეს, რომ დარჩიო. დედა ქეთევანისგანაც მიიღო თანხმობა, თუმცა იმ შემთხვევაში დარჩებოდა მონასტერში, თუ მორჩილებაში იქნებოდა. მას პირადი ტელეფონი და ბარათიც ჩამოართვეს. კელიაში მარტოა, მხოლოდ წირვაზე გამოდის გარეთ. ლოცვის დროს დედა ქეთევანის წინ მორჩილად, განმარტოებით დგას. მრევლთან კონტაქტიც კი აკრძალული აქვს. რამდენჯერმე მოვითხოვე მასთან შეხვედრა, მაგრამ არ მიმიშვეს. მიზეზად კი მისი მორჩილება დაასახელეს.

მანამდე დედა პარასკევა პატრიარქს შეხვდა და სამთავროს დედათა მონასტერში მომხდარი ინციდენტის შესახებ ესაუბრა. უწმინდესმა ის დაამშვიდა და დაჰპირდა, რომ მონასტერში წასვლა თავად დედა პარასკევას უნდა გადაეწყვიტა. ჰოდა, დარჩა მონასტერში“, – თქვა ოჯახის ახლობელმა.

28 აპრილს, სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღოლს დედა ქეთევანსა და დედა პარასკევას შორის ინციდენტი მოხდა, რის გამოც მან მონასტერი დატოვა. (კვირა)

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## „ლევან ვასაძეს ცოტა ზედმეტი მოუვა პარლამენტის თავმჯდომარესთან დებატები“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი მზადყოფნას გამოთქვამს ბიზნესმენ ლევან ვასაძეს კონსტიტუციონალიზმში უფასო გაკვეთილები ჩაუტაროს. მისი თქმით, ვასაძის მიერ პარლამენტის დათხოვნის მოთხოვნა არასერიოზულია, ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს მხოლოდ პოლიტიკური კრიზისის დროს ითხოვენ.

„ცოტა ზედმეტი მოუვა პარლამენტის თავმჯდომარესთან დებატები. თუ დამისაბუთებს, რატომ არის საჭირო, მზად ვარ მასთან დავჯდე დებატებში. საერთოდ, არ მგონია, რომ აკვიატებულ აზრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მისი ინფორმირებულობისთვის, ცოტა მეტი ცოდნისთვის, შემიძლია ავუხსნა, რომ პარლამენტის დათხოვნის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. ეს საქართველოს კონსტიტუციით გაწერილია, არ დავაყვედრი უფასო გაკვეთილს – პარლამენტმა ან ბიუჯეტის დამტკიცება ვერ უნდა მოახერხოს ან მთავრობა უნდა ჩააგდოს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება პარლამენტი წავიდეს სახლში, როცა ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი და ინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები. ჩვენ არც მთავრობასთან და არც საბიუჯეტო პროცესთან პრობლემა არ გვაქვს. ამიტომ, სამწუხაროდ, მის სურვილს ვერ მივუსადაგებ ქვეყნის კონსტიტუციას, მაგრამ, თუ საჭიროა, შემიძლია რამდენიმე უფასო გაკვეთილი ჩავუტარო კონსტიტუციონალიზმში“, – განაცხადა ხიდაშელმა.

ლევან ვასაძე პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას აპროტესტებს და პარლამენტის თავმჯდომარეს დებატებში იწვევს. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

**ალასანიას ფაქტორის გამოყენებით „ნაციონალების“ დაბრუნება?**

– არსად დამბრუნებლები ეგენი არ არიან, ახლა თავს იკავებენ, რომ შეინარჩუნონ უპირველესი ოპოზიციური ძალის სტატუსი. ამიტომ წავიდა ამ სცენარის დამუშავება, რომ იქნებ გუნდიდან ვინმე გამოიყენონ. ირაკლი ალასანიას არასოდეს დაუმალავს საპრეზიდენტო ამბიცია. ეს ამბიციები მან პირველ ეტაპზე ვერ განახორციელა, ჩვენ გვახსოვს, როგორც კი დაიწყო ალასანიამ ამ კუთხით მოძრაობა და პრეზიდენტობის ფიქრი, მან ვიცე-პრემიერის პოსტიც დაკარგა. თუკი ალასანიას იმდენი გონიერება არ აღმოაჩნდება, რომ ამათ თავი არ გამოაყენებინოს, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „ნაციონალები“ მის გამოყენებას ეცდებიან, თუ ალასანია ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რომ ეს არ უნდა გააკეთოს, მას შევახსენებ, რომ ამ კომბინაციით კარგი არაფერი გამოვა.

**— ადგილობრივი არჩევნების წინ, ამომრჩევლებს უდებენ მინისტრებისა და მათი მოადგილეების სიას, ვინც კოლოსალური სახელფასო დანამატი მიიღო.**

**„ნაციონალებს“ კინოსტუდიები და სამონტაჟოები აქვთ გახსნილი. ახლა, ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გეტყვით, ადგილობრივი არჩევნებისთვის ამზადებენ ფილმს, თითქოს დადგმული იყო ციხის კადრები, ამათ ციხეზე აქვთ გართულება. იმას ვერ უარყოფენ, რომ კარანტინში პატიმრებს აწამებდნენ, ამიტომ ცდილობენ გააბათილონ ის ამაზრზენი „ციხის კადრები“**

– რეალურად ხალხი შეიძლება უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“ მმართველობით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხალხმა „ნაციონალების“ სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი. იმ სპექტაკლის დადგმას, რომ თითქოს „ნაციონალებს“ არჩევნები გაუყალბეს, სჭირდება მომხრეთა დიდი არმია, მხარდამჭერები კი „ნაციონალებს“ აღარ ჰყავთ. უკრაინის მაგალითმა აჩვენა, რომ ეს დახვეწილი სცენარები, რასაც სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებდა შეერთებული შტატები, რაც ხორციელდებოდა ფერადი რევოლუციების სახით, ეს ტექნოლოგია მოძველდა და აღარ მუშაობს. ახალი ტექნოლოგიები კი აღარ იციან, რასაც აკეთებენ „ნაციონალები“, ეს უკვე გაშიფრულია და ამას აღარავინ ჭამს. ვერ მოხდება მაგათი რეაბილიტაცია, რადგან ყველას ყველაფერი კარგად გვახსოვს.

მაგრამ, მეორე მხრივ, გაღიზიანებას იწვევს „ქართული ოცნების“ საქციელი და უკვე ისეთი ადამიანებიც აღშფოთდნენ, რომლებიც მუდმივად გვეჩიჩინებოდნენ, ცოტაც ვაცადოთ, ახალი ხელისუფლებაა, მიშა ხომ მოგვაშორესო. უკვე ისინიც კი გაოგნებულები არიან, მე არ ვიცი, რით ფიქრობდა ეს გუნდი, როცა ნაბიჯ-ნაბიჯ იმეორებს იმას, რითიც ხალხი იყო უკმაყოფილო „ნაციონალების“ მიმართ, მათ შორის ამ წარმოუდგენელ ხელფასებსა და პრემიებზე. ევროპული გზით ხომ მივდივართ, ამიხსნან, ევროპის რომელიმე ქვეყანაში არის, რომ პენსია იყოს 150 ლარი და თვის განმავლობაში პრემიის სახით სახელმწიფო მოხელეს ჰქონდეს 80 ათასი ლარი?! იცით, რა ხდება? სისტემა, რომელიც შექმნა სააკაშვილმა, ამათ მოირგეს საკუთარ თავზე. ხალხს ამისთვის არ მიუცია ხმა „ოცნებისთვის“, თორემ ისევ შეჩვეულ ჭირს – „5“-იანს შემოხაზავდა.

**„ევროპის რომელიმე ქვეყანაში არის, რომ პენსია იყოს 150 ლარი და თვის განმავლობაში პრემიის სახით სახელმწიფო მოხელეს ჰქონდეს 80 ათასი ლარი?! იცით, რა ხდება? სისტემა, რომელიც შექმნა სააკაშვილმა, ამათ მოირგეს საკუთარ თავზე. ხალხს ამისთვის არ მიუცია ხმა „ოცნებისთვის“**

ეს სიტუაცია, რაც დღეს ხდება, ძალიან მაგონებს 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებს. მაშინ ადგილობრივი არჩევნები ოპოზიციამ უმრავლესობით მოიგო. ყველა ის ადამიანი, ვინც „ნაციონალების“ წინააღმდეგ იყო და ხმა მისცა „ოცნებას“, დღეს, ალბათ, ხმას მისცემს მესამე ძალას და ჩემი ვარაუდით, ეს მესამე ძალა უნდა იყოს „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“. პატიოსანი არჩევნების შემთხვევაში გარდაუვალია მე-2 ტური, ყველა გამოკითხვით დგინდება, რომ 40%-საც ვერ აღწევს „ოცნების“ მერობის კანდიდატი. მოგეხსენებათ, რომ ბარიერია 50%. ეს ნიშნავს, რომ ნარმანია პირველ ტურში ვერ გავა, თუ მე-2 ტურს ვივარაუდებთ, მე-2 ტურში უკვე დამაჯერებლად გაიმარჯვებს დიმიტრი ლორთქიფანიძე. თუ ხელისუფლება ამას ხელს შეუშლის, ეს იქნება სიგნალი მთელი მოსახლეობისთვის, რომ ბრაზი და უკმაყოფილება გადაიზარდოს იმაში, რომ მთავრობა აღიქვან მტრად. არც ისე დიდი ხანია დარჩენილი შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე. შეიძლება ადგილობრივ არჩევნებს არ მოჰყვეს გამოსვლები და სერიოზული დესტაბილიზაცია, მაგრამ ვიმეორებ, ეს იქნება სიგნალი და სწორედ ამ დროს დადგება მოთხოვნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ და შეიძლება ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა გახდეს ქართველი ამომრჩევლის. აი, ამ მოთხოვნით კი ხალხი უკვე ქუჩაში გამოვა.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## მირონმდინარე ხატი აფხაზებმაც მოილოცეს

ხატი აფხაზეთის ე.წ. საზღვართან, ენგურის ხიდზე სასულიერო პირებმა მიაბრძანეს და სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადეს. ხატთან მოლოცვის საშუალება აფხაზეთიდან გადმოსულ მოქალაქეებსაც ჰქონდათ. მირონმდინარე ხატი ზუგდიდში ჩააბრძანეს და მთელი ღამის განმავლობაში მორწმუნეებს საშუალება ჰქონდათ, ხატთან ელოცათ.

ენგურის ხიდზე პარაკლისის გადახდის შემდეგ სასწაულმოქმედი ხატი სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიაში გადააბრძანეს. ხატს თან ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაცია ახლავს. (რეპორტიორი)

## „უფასოდ დარიგებული სახელმძღვანელოები პიარაქცია იყო და მომდევნო წლებზე არ იყო გათვლილი“



საგანმანათლებლო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, ტარას შავშიშვილის განცხადებით, განათლების სამინისტროს კარგად არ ჰქონდა გააზრებული, მომდევნო სასწავლო წლებში როგორ გაგრძელდებოდა სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება. შავშიშვილი მიიჩნევს, რომ 2013-2014 სასწავლო წლის დასაწყისში უფასოდ დარიგებული სახელმძღვანელოები ერთჯერადი პიარაქცია იყო და მომდევნო წლებზე არ იყო გათვლილი.

„ბუნებრივია, სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისშიც, ისევე როგორც მიმდინარე წელს, მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდეთ. თუმცა, არსებობს დიდი რისკი, რომ მოსწავლეები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. კერძოდ, მიმდინარე წლის ბოლოს ჩასაბარებელი სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი უვარგისია და მომდევნო წელს მოსწავლეთა ერთ ნაწილს შესაძლოა, ეს წიგნები შეხვდეთ. სამწუხაროდ, პირველსავე წელს იმდენად გაუთვლელი და დაუგეგმავი იყო სახელმძღვანელოების საკითხი, რომ სექტემბრისთვის სამი გზა რჩება სამინისტროს ამ საკითხის გადასაწყვეტად“, – აცხადებს შავშიშვილი.

მისივე თქმით, სამივე გზა მოქალაქეების ან სახელმწიფოს ზარალთან არის დაკავშირებული.

1) სამინისტრო წლის ბოლოს იბარებს მხოლოდ ვარგის წიგნებს, ხოლო დაზიანებულ წიგნებში მშობლებს ფულს ახდევინებს, რაც უსამართლობაა, ვინაიდან წიგნები დაბალი ხარისხის მასალისგანაა დამზადებული;

2) სამინისტრო საკუთარი ბიუჯეტით აბეჭდვინებს სტამბებს ახალ სახელმძღვანელოებს, რა დროსაც ბიუჯეტის ხარჯვის არამიზნობრიობის საკითხი დგება;

3) სამინისტრო იბარებს ყველანაირ, მათ შორის დაზიანებულ, წიგნს და მომდევნო წლის დასაწყისში ანაწილებს მოსწავლეებზე, რა შემთხვევაშიც მოსწავლეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## თბილისის მერობის მსურველთა რიცხვი იზრდება

დედაქალაქის მერობისთვის თვითმმართველობის არჩევნებში სერგო ჯავახიძეც იბრძოლებს. ის კენჭს ახლად შექმნილი ბლოკიდან იყრის.

დედაქალაქის მერობის კანდიდატის გარდა, გაერთიანების წევრებმა მაჟორიტარული და პროპორციული სიებიც გამოაქვეყნეს. ჩამონათვალში ძირითადად ბიზნესმენები ფიგურირებენ. (რეპორტიორი)

## 18 წლის ორსული მეუღლემ სასიკვდილოდ სცემა



თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გარდაცვლილი 8 თვის ორსული გოგონა გარდაიცვალა. ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, 18 წლის ნინო ზ.-ს გარდაცვალების მიზეზი მეუღლის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფა გახდა.

ორსულმა მკვდარი ნაყოფი დაბადა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. (ნიუპოსტი)



## მოსახლეობა უკრაინას ტოვებს

გადასახლებულთა შორის არიან ყირიმელ თათრები, უკრაინელები, რუსები და შერეული ოჯახები. წასვლის მიზეზთა შორის გაერო აღნიშნავს პირდაპირ მუქარას, დევნას და საკუთარი უსაფრთხოების გამო ხალხის შიშს.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ გადასახლებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა აპრილში.

მანამდე, გაერო იუწყებოდა, რომ ფლობს დადასტურებულ ინფორმაციას უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში მკვლელობის, წამებისა და ადამიანთა გატაცების მრავალრიცხოვან ფაქტებზე. (ნიუპოსტი)




# მინისტრ დარახველიძის უწყებით საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ?

სახალხო დამცველის ყოფილმა მოადგილემ, სოფო ხორგუანმა „ფეისბუკში" სტატუსი ასეთი ტექსტით დადო: „ჰო, მართლა, მინისტრ დარახველიძეს გადაეცით, საქმეს მიხედოს, საქმეს! დაანებოს კანცელარიის ოთახებსა და ჟურნალისტებში ჩემზე ჭორაობას თავი. თორემ ამომივა მეც ყელში და მართლა მოვიცლი მისი სამინისტროსთვის – დერეფნებში მინისტრის ფოტოგამოფენით დაწყებული ნეპოტისტურ-კლანური საკადრო გადაწყვეტილებებით დამთავრებული! ლტოლვილებისთვის, დევნილებისთვის, მიგრანტებისთვის და ჩემი ქვეყნისთვის მასზე მეტი ნამდვილად მაქვს გაკეთებული და ომის ფასიც მასზე უკეთ ვიცი! უსამართლობასთან ბრძოლით დაწყებული, აგვისტოს ომით დამთავრებული! ასე რომ, გემს მიხედეთ, ბატონო, გემს! ჩესწ იმეიუ!"

**რატომ ემუქრება ხორგუანი მინისტრს? „ალიას" სოფო ხორგუანი ესაუბრა:**

**— სოფო, რა ხმებს გივრცელებთ მინისტრი?**

– ჯერ მინდა, სოლიდარობა გამოვუცხადო თქვენს გაზეთს და საჯაროდ დავუდასტურო ჩემი პატივისცემა „ალიას", რადგან ყოველთვის აძლევს ადამიანებს საშუალებას, პოზიცია გამოხატოს.

ასტემიროვას მმართველობიდან დაწყებული ხევიაშვილის კატასტროფული მმართველობით დამთავრებული, ამ უწყების მიმართ კრიტიკა არ შემიწყვეტია. მერე კობა სუბელიანთანაც ომი მქონდა, განსაკუთრებით აგვისტოს ომის დროს, როცა არაჯეროვან მმართველობას ახორციელებდა. დღესაც აქტიური მოქალაქე ვარ ამ მიმართულებით და ამას ვერავინ დამიშლის. თუ რამე მომწონს, ვამბობ, თუ საკრიტიკებელი დავინახე, ვაკრიტიკებ.

დარახველიძესთან დაკავშირებით თავიდან ყველაზე ნაკლები სურვილი მქონდა, მეკრიტიკებინა, ძალიან გული დამწყდა იმაზე, რომ მომწვდა ჭორები, იმიტომ აკრიტიკებ, რომ მისი ადგილი გინდაო. ჩემთვის ეს უსიამოვნო იყო, რადგან თავის დროზე, როცა დარახველიძე კანონდარღვევით, რეორგანიზაციის შედეგად გამოუშვეს სამსახურიდან, როცა ის კონტროლის პალატაში მუშაობდა, სახალხო დამცველის ოფისი გვერდით დაუდგა, დასკვნები გვაქვს დაწერილი, მაშინ სახალხო დამცველის მოადგილე ვიყავი და ანგარიში უჩემოდ არ გადიოდა. მაშინ მის გვერდით ვიყავით და მისი შვილი სამსახურში მივიღე. როცა დარახველიძე მინისტრად ინიშნებოდა, ვამბობდი, ნეტავ, მისი შვილი დაენიშნათ, ისეთი კარგი ბიჭია-თქო.

ხომ გეუბნებით, როცა გასაკრიტიკებელს რამეს ვხედავ, ვაკრიტიკებ. პირველად როცა გავაკრიტიკე დარახველიძე, მისი შვილი დამიკავშირდა და მითხრა, პირადი დაინტერესება გაქვს, მის თანამდებობას უმიზნებო. ძალიან მტკივნეული იყო ეს ჩემთვის, ძალიან მეწყინა. მაშინ რა გამოდის, როცა მას ვეხმარებოდი და კონტროლის პალატის წინააღმდეგ დასკვნებს ვწერდი, კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა მინდოდა? ან როცა მისი შვილი სტაჟირებაზე მივიღე, რამე მინდოდა? თან იმ დროს, როცა ძალიან მწირი ბიუჯეტი გვქონდა და ადამიანების მიღების საშუალება არ გვქონდა, მაინც მივიღე, იმდენად კარგი კადრი იყო, დასაკარგად დამენანა. ვერავინ იტყვის, რომ პირადი დაინტერესებით ვინმეს რამეს ვუკეთებდი. ბევრი დევნილი მოდიოდა ჩემთან, მოდის დღესაც და მაწვდიდნენ ინფორმაციას. ამაზე სულ მქონდა პოზიცია და ვაკეთებდი განცხადებებს, რის გამოც სულ მქონდა ომი.

**— დევნილებისგან მომისმენია, სუბელიანის მერე არაფერი შეცვლილა უწყებაშიო. ტელევიზიით მინახავს, რომ სოციალურადაც ეხმარებიან დევნილებს, ბინებსაც უკანონებენ და რა ხდება იქ საერთოდ?**

– მე გეტყვით იმ ინფორმაციებს, რითაც უკმაყოფილოები იყვნენ დევნილები. მინისტრი იყო ნახევარი წელი და სამეგრელოში არ იყო ჩასული, სადაც თბილისის შემდეგ ყველაზე ბევრი დევნილია, არსებობდა ინფორმაციის ნაკლებობა და მინისტრისგან ინფორმაციების მიღება უჭირდათ. რომ იცხოვრო და დაგეგმო შენი ცხოვრება, ხომ უნდა იცოდე, რა გეგმები აქვს შენთან დაკავშირებით სახელმწიფოს? მე მაქვს პრეტენზიები იმასთან, რომ ბინების გადანაწილებაც არასწორად ხდებოდა, ვერ არჩევდნენ კრიტერიუმებს, ვინ რის მიხედვით იღებდა ბინებს. პრობლემა იყო, ვინ მიიღო, ვინ არ მიიღო და ვის რა მოტივაციით ეთქვა უარი ბინაზე. უკმაყოფილება იყო ბინების ხარისხზე, იქ რიგი იყო, რეგისტრაცია სრულიად გაუგებრად ხდებოდა 3 თვის გადავადებით. ვინ და რატომ დამიწესა ვადა? რიგების გამო რეგისტრაცია ვერ გავიარე, სამი თვე რატომ დამიწესე? რატომ შემიზღუდე? როცა მინდა, მაშინ გავივლი რეგისტრაციას. ჩემი დევნილად რეგისტრაცია რატომ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, სამინისტროს რა ვადა აქვს საამისოდ? ჩემი დევნილობა ჩემს აფხაზეთში არსებულ სახლს უკავშირდება და იქიდან ჩემს გამოგდებას, არა იმას, რას გადაწყვეტს სამინისტრო. კი ბატონო, სახელმწიფო დღეს აკეთებს რაღაცას, მაგრამ აკეთებს უნიათოდ. სწორედ არაჯეროვანი მმართველობის შედეგია ის, რომ, რაც კეთდება, ისიც არასწორად კეთდება. როგორ შეიძლება, ამდენი ფული იხარჯებოდეს და მაინც ხარვეზებით კეთდებოდეს ყველაფერი?

**— ამბობენ, რომ არა მხოლოდ სუსტი მმართველი და მენეჯერია, არც პირად ურთიერთობებში ბრწყინავს დარახველიძეო. ასეა?**

– მოდი, ასე გეტყვი, მასზე უკეთესი საჯარო მოხელე ვიყავი და რასაც ეს მინისტრი ამ წელიწად-ნახევრის მანძილზე აკეთებს, მე მეტი მაქვს გაკეთებული ლტოლვილებისა და ეკომიგრანტებისთვის. ვინც უნდა, ამბიციური დამარქვას, ვინც უნდა – პატივმოყვარე. ეს რეალობაა.

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## პრემიერს შავი ქამარი და სამურაის ხმლის ტარების უფლება გადასცეს

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელმა კახა ბასილიამ, მსოფლიო კარატეს ფედერაციის გადაწყვეტილებით, მესამე დანი, შავი ქამარი და დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ინფორმაციით, პრემიერი ფედერაციას სტუმრობდა, რომლის ფარგლებში ქართული კარატეს წარმატებებს, სამომავლო გეგმებსა და მიზნებს გაეცნო.

„საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციას კიდევ ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი გამოუჩნდა – პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ის ჩვენი დიდი ქომაგია ჯერ კიდევ შსს-ს მინისტრობის დროიდან. დღესაც, შსს-ს თანამშრომელი ჩვენი აღზრდილი სპორტსმენები, ღირსეულად იცავენ უწყებისა და საქართველოს სახელს მსოფლიო ტატამზე და არაერთი ოქრო-ვერცხლი აქვთ მოპოვებული. საბედნიეროდ, პრემიერ-მინისტრის მხრიდან არ შეწყვეტილა ქართული კარატესა და ჩვენი ყველაზე ეროვნული პროექტის – „მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში – კარატე ჯანსაღი მომავლის სამსახურში" მხარდაჭერა, რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ირაკლი მსოფლიოში მეორე პრემიერ-მინისტრია რეჯეფ თაიფ ერდოღანის შემდეგ, რომელსაც ესოდენ დიდი საპატიო წოდება მიანიჭა კარატეს მსოფლიო ფედერაციამ – შავი ქამარი და სამურაის ხმლის – კატანას ტარების უფლება", – განაცხადა კახა ბასილიამ.

მისივე განმარტებით, კარატეს ეროვნული ფედერაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიასთან შეთანხმდა, რომ აღნიშნულ რეგიონში კარატე სავალდებულო საგნად შევა სკოლებში. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ არ ახლავს ირაკლი ალასანია პრემიერს ბრიუსელში?



თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, პრემიერ-მინისტრთან ერთად მისი ბრიუსელში გამგზავრება დაგეგმილი არ იყო.

„ეს არის ძირითადად ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობები, სადაც თავდაცვის შემადგენელი ნაწილი არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ჩვენ ვაპირებთ უსაფრთხოების ოპერაციებში მონაწილეობას. აქ არ იყო განსაზღვრული თავდაცვის მინისტრის მონაწილეობა და, აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურად, ეკომომიკური ბლოკისა და საგარეო პოლიტიკის შემადგენლობით წავიდა პრემიერ-მინისტრი", – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ბრიუსელში პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით დელეგაცია გაემგზავრა, რომელიც შეხვედრებს 20-21 მაისს გამართავს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყვავილების ფესტივალი „ვარდობისთვე თბილისში 2014" გაიმართება



თბილისის მერიის ინფორმაციით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, ტრადიციული ყვავილების ფესტივალი წელს 10 წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. „ფესტივალი პირველად სამი დღის განმავლობაში 24, 25 და 26 მაისს სოფიკო ჭიაურელის სახელობის სკვერსა და მის მიმდებარე ქუჩებზე (შარდენის ქუჩა, ბამბის რიგი) გაიმართება.

საფესტივალო გამოფენები, სამივე დღეს დილის 10:00 საათიდან გაიხსნება და საღამოს 19:00 საათამდე გაგრძელდება. წლევანდელ საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა გამწვანების კომპანიები, ყვავილების მაღაზიები და კერძო კოლექციონერები იღებენ. 26 მაისს „ვარდობისთვე თბილისში", საიუბილეო ექსპოზიციით, პარალელურად რუსთაველის გამზირზე I კლასიკური გიმნაზიის წინ 12:00-20:00 საათამდე იქნება წარმოდგენილი", – აცხადებენ მერიაში.

ტრადიციულად „ვარდობისთვე თბილისში" თბილისის მერიის დაფინანსებით იმართება. (ინტერპრესნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

**— არაერთხელ მომისმენია, უნდა შეიცვალოსო...**

– მე ვფიქრობ, რომ, როცა პრემიერი დაინიშნა, თქვა, ჯერ დავაკვირდები მინისტრებს, შევაფასებ და მერე მივიღებ გადაწყვეტილებასო. კი, ბატონო, მესმის, რომ ახლა, წინასაარჩევნოდ საკადრო ცვლილებები არ ივარგებს, ეს ყოველთვის გამართლებული არ არის. მე მოვისმინე პრემიერის გამოსვლა, სადაც დარახველიძეს დრო მისცა, გაერკვია, რატომ არის ხარვეზები და გამოსასწორებლად ერთი თვის ვადა დაუწესა. საუბარი იყო დევნილების დასახლებასა და ტენდერზე. როცა ეს ამბავი ვთქვი, დარახველიძის თანამშრომელი დამიკავშირდა მინისტრის სახელით და მითხრა, პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს და არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, რადგან მინისტრს კი არა, სამშენებლო კომპანიას მისცა შენიშვნაო. მე ვკითხე, თუ ტენდერის პირობებს არღვევს სამშენებლო კომპანია, რატომ ინარჩუნებთ? მუშა რომ სახლის რემონტს გიკეთებდეს და არ გააკეთოს, შეარჩენთ-მეთქი? სახელმწიფო ბიუჯეტია ეს, პირადი ხომ არაა, თვალი მოვუხუჭო? აი, ეს პრეტენზიები მაქვს მე.

მე მაქვს უფლება, ჩემს დაქირავებულ მინისტრს მოვთხოვო ჯეროვანი მმართველობა, ქვევიდან ზევით ვერც მინისტრს შევხედავ და ვერც პრეზიდენტს, ეს პოზიცია უნდა ჰქონდეს ყველას. ამდენი წელია, დევნილი ვარ და ვერ გეტყვით, რომ სამინისტრო არსებობს. ის გინდ არსებობდეს, გინდ – არა. როგორ გვიჭირს ახლა და ასე არ უნდა იხარჯებოდეს თანხები? ამიტომაც მაქვს ინფორმაცია, რომ საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდნენ უკვე ამ თემით, მიმდინარეობს მოკვლევა, რატომ არის ასეთი ხარვეზები. როცა ორგანიზაცია იგებს ტენდერს და პირობებს არ ასრულებს, რას აკეთებს სამინისტრო? რა დროს აძლევს გამოსასწორებლად? ბიუჯეტის ფულზე ვსაუბრობთ. ამ ფულზე სხვანაირად უნდა ფიქრობდეს საჯარო მოხელე და ყველა თეთრი სწორად უნდა დაიხარჯოს.



„მოვისმინე პრემიერის გამოსვლა, სადაც დარახველიძეს დრო მისცა, გაერკვია, რატომ არის ხარვეზები და გამოსასწორებლად ერთი თვის ვადა დაუწესა. საუბარი იყო დევნილების დასახლებასა და ტენდერზე“



„დარახველიძესთან დაკავშირებით თავიდან ყველაზე ნაკლები სურვილი მქონდა, მეკრიტიკებინა, ძალიან გული დამწყდა იმაზე, რომ მომწვდა ჭორები, იმიტომ აკრიტიკებ, რომ მისი ადგილი გინდაო“

ბრალდებებთან დაკავშირებით „ალია“ მინისტრ დარახველიძის მრჩეველს, **დალი გოგოლაძეს** ესაუბრა: „არასწორი ინფორმაციაა, ფაქტის დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. მე სოფოს მართლაც დავურეკე და ვუთხარი, რომ მივცემდი ვიდეომასალას, სადაც პრემიერი შენიშვნას აძლევს არა მინისტრს, არამედ ტენდერში გამარჯვებულ „ბლოკ ჯორჯიას“. პრემიერს ჩვენგან ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია, დავაჯარიმეთ ეს კომპანია, მაგრამ მაინც არ ვიყავით კმაყოფილი, ამიტომ მან კომპანიას მისცა ვადა, რომ ხარვეზები გამოესწორებინა. რაც შეეხება ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას, ამაზე მოგახსენებთ, რომ ამაზე ინფორმაცია სამინისტროში არავის არ აქვს. რაც შეეხება ბინების გადანაწილებას, როცა ჩვენ ამ განაწილებას ვიწყებთ, კენჭისყრის შედეგებს საიტზე ვდებთ, რომ იყოს გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულმა ნახოს. მან უნდა მიიღოს ინფორმაცია, რა ქულა მიიღო. თუ ვიღებთ შენიშვნას, კომისია თავიდან იწყებს მოკვლევას. ანუ სიები უფრო ადრე ქვეყნდება, ვიდრე ბინების გადაცემა ხდება“.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებ-გვერდი ფუნქციონირებას იწყებს

ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებ-გვერდზე **(www.partiebi.ge)** ხელმისაწვდომი იქნება საარჩევნო სუბიექტების პროგრამები და თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდიდატების ხედვები ქვეყნისა და ქალაქების განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე. ამომრჩეველს შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს მისთვის საინტერესო საარჩევნო სუბიექტისა თუ მერობის კანდიდატების მოსაზრებებს და ერთმანეთს შეადაროს მათი ხედვები ამა თუ იმ საკითხზე. ვებ-გვერდი ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე იქნება ხელმისაწვდომი.

პროექტი ჰოლანდიის მთავრობისა და ჰოლანდიის სამეფოს საელჩოს მიერაა დაფინანსებული.

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის ჰოლანდიის პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიულ რეფორმებს მსოფლიოს 27 სახელმწიფოში. (ინტერპრესნიუსი)

## ქართველმა მომღერალმა საფრანგეთში კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია



ნინო სურგულაძემ ფრანგების მოხიბვლა ამჯერად მასკანის ოპერაში შესრულებული მთავარი და ძალიან რთული სანტუცას პარტიით შეძლო. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

„როგორც იქნა, დადგა ეს დღე და ჩემი დებიუტი შედგა „სოფლის პატიოსნებაში“ სანტუცას პარტიით. მადლობა ყველა ჩემს არაჩვეულებრივ კოლეგას, დირიჟორს, რეჟისორსა და მხურვალე ფრანგ მსმენელს“.

მხურვალე ფრანგი მსმენელისგან კი ქართველმა მომღერალმა შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო.

„ქალბატონო, მე პატივი მერგო დავსწრებოდი „სოფლის პატიოსნებას“ ავინიონში, მოგვიანებით კოქტეილზეც შეგხვდით ჩემს მეგობარ კლოდ ოვრეს გვერდით და გამიმართლა – შევძელი მომელოცა თქვენ მიერ ასეთი ტალანტით შესრულებული სანტუცას პარტია. საოცარი ენერგიით შეასრულეთ, მთელი გული და სული ჩააქსოვეთ, ყველა თქვენი ძარღვი და ქართული ბობოქარი სისხლი, კიდევ გაგიმეორებთ, ძალიან ცოტა ხანში მსოფლიო თქვენ ფერხთით იქნება და ეს თქვენი ნიჭისა და თქვენგან წამოსული უზარმაზარი ემოციის დამსახურებაა, დიდი პატივისცემითა და გულწრფელი სიმპათიებით ჟაკ პიერ ბომპერი“.

ამ თბილი სიტყვებისთვის ღირს სიმღერა – ამბობს ნინო სურგულაძე, და მადლობას უხდი მსმენელს შეფასებისთვის. (ნიუპოსტი)

23-24 მაისს მეტეორების წვიმას ელიან

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო **(NASA)** 23-24 მაისს მეტეორების წვიმას აანონსებს. როგორც ერთ-ერთი რუსული გამოცემა წერს, ეს ყველაზე მასშტაბური ვარსკვლავთცვენა იქნება ამ წელში. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ერთ საათში 200-მდე „ჩამოვარდნილი“ ვარსკვლავის დანახვა იქნება შესაძლებელი.

მეტეორების წვიმა დედამიწიდან 200 სინათლის წელიწადით იქნება დაშორებული. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საპატრულო პოლიციის თანამშრომელი 11 წლის მოზარდს დაეჯახა




შემთხვევა ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მოხდა. მოზარდი ოზურგეთის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ. მათივე ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი სამსახურებრივ მანქანას მართავდა, თუმცა ეს საპატრულო ეკიპაჟი არ ყოფილა.

საქმე აღძრულია 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით. როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## 10 მაისიდან მენინგიტის შემთხვევების მატება ფიქსირდება



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან დაიწყო, 10 მაისიდან კი მენინგიტის შემთხვევების მატებაა.

„ენტეროვირუსული მენინგიტური შემთხვევები მთელ საქართველოშია. შემთხვევათა უმრავლესობა თბილისშია აღრიცხული. ბავშვების გარდა, მენინგიტი მოზრდილებშიც გვხვდება. ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან დაფიქსირდა. 10 მაისიდან დაიწყო შედარებით ინტენსიური მატება. სულ 107 შემთხვევაა რეგისტრირებული და არც ერთი მძიმე არ ყოფილა. მენინგიტის შემთხვევები ზაფხულის მანძილზე გაგრძელდება, თუმცა ვფიქრობთ, ნაკლები ინტენსივობით“, – განაცხადა ზახაშვილმა.

მისივე თქმით, მდგომარეობა საგანგაშო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემთხვევა სკოლებში დაფიქსირდა, ეს სწავლის შეწყვეტის საფუძველი ნამდვილად არ არის. „სრულიად ვიზიარებ ჯანდაცვის მინისტრის მოსაზრებას, რომ მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არ არის. თუმცა, თავდაცვისთვის ის ელემენტარული ღონისძიებები, რაც მოწოდებულია, უნდა იყოს შესრულებული მოსახლეობის მიერ“, – აღნიშნა ზახაშვილმა.

მისივე თქმით, ეს დაავადება გადადის ადამიანიდან ადამიანზე დაავადებულთან ხელის ჩამორთმევით, მისი მოხმარებული ნივთების გამოყენებით. შეკავების ღონისძიებები რთულია და სამოქალაქო ჩართულობას მოითხოვს.

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, ვირუსულ მენინგიტთან დაკავშირებით პანიკის საფუძველი არ არსებობს.

მენინგიტის რამდენიმე შემთხვევა სკოლებშიც დაფიქსირდა. მათ შორის ბოლო – შემთხვევა 175-ე სკოლაში. (ინტერპრესნიუსი)

# რა პერსპექტივა ექნება „კვირის ქრონიკის“ საქმეს სტრასბურგის სასამართლოში?

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც გაზეთი „კვირის ქრონიკა“ 50 ათასი ლარით დაჯარიმდა, იურისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ. ერთნი თვლიან, რომ დავა სტრასბურგის სასამართლოში უნდა გაგრძელდეს, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ, თუკი მომჩივანი ოთარ კობერიძის საქმის მასალებს მოვიპოვებთ, ბრძოლას საქართველოშიც აქვს აზრი.

შეგახსენებთ, „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში, პროკურატურის ყოფილმა თანამშრომელმა, აკაკი ჭანიამ, რომელიც 1977 წელს ოთარ კობერიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელი იყო, განაცხადა, რომ მსახიობმა მასთან აღიარა დანაშაული და ამაზე ოქმიც არის შედგენილი.

„ალია“ დაუკავშირდა ადვოკატ **ლია მუხაშავრიას**, რომელსაც სტრასბურგში სასამართლო საქმეების წარმოების საკმაო გამოცდილება აქვს:

**— პროკურორი, რომელმაც ოთარ კობერიძე 15-ჯერ დაკითხა, ამბობს, რომ მსახიობი აღიარებდა თავის დანაშაულს, ოქმიც შევადგინე ამაზე, თუმცა სასამართლო განხილვისას ოქმი საქმეში არ მოხვდაო. ეს არის ახალი გარემოება საქმისთვის?**

– გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა ოთარ კობერიძის წინააღმდეგ?

**— არ გამოსულა, ვინაიდან გახსოვთ, ალბათ, როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება იმ წლებში. საქმიდან საერთოდ ამოიღეს კობერიძის გვარი და დატოვეს ანთაძე. საქმეც ასე იყო ცნობილი — „ანთაძის საქმე“.**

– თუკი პირის მიმართ არ არსებობს ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, ამ შემთხვევაში მას ვერანაირად ვერ დაუმტკიცებ დანაშაულს. უნდა არსებობდეს ერთი გადაწყვეტილებაც კი, როცა სასამართლომ თავის დროზე დამნაშავედ ცნო ოთარ კობერიძე. თქვენ, ალბათ, გედავებათ სასამართლო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასა და ცილისწამებაში.

**— ცილისწამებისთვის გვიჩივლა სწორედ ოთარ კობერიძემ. „ალიასთვის“ ხელმისაწვდომი რომ გახდეს კობერიძის მიერ მიცემული ჩვენებები, სადაც ამბობს, რომ ნამდვილად ეწეოდა გარყვნილ ქმედებებს არასრულწლოვნებთან, ამ შემთხვევაში რამე იცვლება?**

– თუკი სასამართლომ არ დაადასტურა ვილაცის ბრალეულობა, ის უდანაშაულოდ ითვლება. მე შეიძლება დავიბრალო რაღაც უბედურება, ამის შესახებ მოვყვე კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილად ამ დანაშაულის ჩამდენი ვარ. თუკი არსებობს ოთარ კობერიძის ჩვენება, სადაც აღიარებს დანაშაულს, მაგრამ ამ დანაშაულზე მისი გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდგარა, ის ჩვენება არაფერს ცვლის.

**— ზოია ქველიაშვილი, რომელიც ქალაქის სასამართლოში მდივნად მუშაობდა, ამბობს, რომ სასამართლო პროცესიდან ოთარ კობერიძის საქმე საერთოდ ამოიღეს. ამის მიზეზად კი მისი მეუღლის, ლია ელიავას ავტორიტეტს ასახელებს და ამბობს, რომ, რამდენადაც ქალაქს ოთარ კობერიძე სძულდა, იმდენად უყვარდა მის მეუღლეო. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაც (ექსპერტიზა ჩაუტარდა 27 მცირეწლოვან გოგონას) თუმცა ის დღეს აღარ არსებობს, როცა მუდმივად შენახვას ექვემდებარება.**

– მეც მახსოვს ის ინფორმაციები და ჭორები, რაც ქალაქში დადიოდა ოთარ კობერიძეზე. მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოსულა.

**— საქართველოში ყველა ინსტანცია ამოწურულია, სტრასბურგის სასამართლოში არსებობს რაიმე პერსპექტივა, რომ წარმოებაში მიიღონ საქმე და მსვლელობა მიეცეს?**

– იცით, რა მაინტერესებს? ეს ინფორმაცია ხომ კონკრეტულმა პირებმა გააჟღერეს?

**— დიახ.**

– რესპონდენტებს არ უჩივლა კობერიძემ?

**— არა, გამოცემასთან აქვს პრეტენზია.**

– თქვენ შეგიძლიათ ახლა რეგრესის წესით რესპონდენტებს უჩივლოთ, რადგან მათ შეცდომაში შეგიყვანეს.

**— რას ამბობთ, რადგან კობერიძეს თავის დროზე საქმე ჩაუწყვეს სასამართლოში, რესპონდენტებს ვუჩივლოთ? თქვენც ხომ ამბობთ, რომ მთელი თბილისი კობერიძეზე საუბრობდა, არსებობს დაზარალებული გოგონები, სასამართლოს, პროკურატურის მაშინდელი თანამშრომლები ამ საქმეზე ღიად საუბრობენ...**

– სასამართლო გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული და სწორედ ეს ქმნის პრობლემას. თქვენ გაქვთ ვალდებულება, ნებისმიერი რესპონდენტის ნათქვამი გადაამოწმოთ. მაგ სტანდარტს სტრასბურგის სასამართლო არ დაარღვევს. კიდევ ერთხელ ვამბობ, შესაძლოა, პირმა დაიბრალოს რაღაც, ან აღიაროს დანაშაული, მაგრამ, თუკი ის ოფიციალურად არ იქნა გამტყუნებული კანონის ძალით, იგივე დანაშაულში პირის მხილება მაინც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ითვლება. არ ვიცი, როგორი პერსპექტივა ექნება თქვენს საქმეს სტრასბურგში, ვინაიდან კობერიძე არ გაუმტყუნებიათ მაშინ. თუმცა ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.



შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ემზარ კვიციანს პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივდა



სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვიციანის წინასწარი პატიმრობის ვადა 28 ივნისამდე გაგრძელდა. დაცვის მხარე აღნიშნულის გასაჩივრებას აპირებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი პროკურორები ცდილობენ, ახალი მთავრობაც გარიონ კვიციანის უკანონო პასუხისგებაში მიცემაში. მე ვადანაშაულებ პროკურატურას, რომელიც სააკაშვილის დროინდელ ბრალდებებს აკანონებს, რომ ახალი ხელისუფლებაც გახადოს უკანონო პატიმრობის მონაწილე“, – განაცხადა კვიციანის ადვოკატმა, რევაზ კახნიაურმა.

პროცესზე დაცვის მხარემ შუამდგომლობა დააყენა, რომ ერთი მილიონის ღირებულების ქონების გირაოში ჩადების სანაცვლოდ გაათავისუფლებდნენ, თუმცა სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ გაითვალისწინა. ადვოკატის განცხადებით, მილიონის ქონების ჩადება სასამართლოს ემზარ კვიციანის შვილის მეგობრებმა შესთავაზეს.

ამასთანავე, დაკავებულს თავდებში უდგებოდნენ 33 გენერალი, ვეტერანთა კავშირი, ასევე, უნივერსიტეტის პროფესორები, თუმცა, სასამართლომ აღნიშნული პირების თავდებობის შეთავაზება არ გაითვალისწინა.

როგორც საქმის პროკურორმა, თენგიზ ხარებავამ განმარტა, ბრალდების მხარემ წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგრძლივება მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ემზარ კვიციანის მიერ მიცემული ჩვენების შესასწავლად მოითხოვა. პროკურორის განცხადებით, კვიციანი გამოძიებასთან ადრე არ თანამშრომლობდა და მან ჩვენება ბოლო პერიოდში მისცა. ამასთანავე, პროკურორის თქმით, ვადის გახანგრძლივების შუამდგომლობის ერთ-ერთი მოტივი ის გარემოება გახდა, რომ ბრალდების მხარე რამდენიმე ექსპერტიზის დასკვნას ელოდება. (ინტერპრესნიუსი)

## „ლალი მოროშკინამ ყოველთვიურად 10 000 ლარი და ავტომანქანა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფროსი სოციალური მუშაკის, ავთანდილ ღლონტის განცხადებით, დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ლალი მოროშკინა თანამდებობიდან განთავისუფლდა, თუმცა მას შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 ივნისს ეწურებოდა.

მისივე თქმით, მოროშკინამ დესტრუქციული განცხადებების კეთება მას შემდეგ დაიწყო, რაც მის მიერ მოთხოვნილ პრემიაზე უარი მიიღო.

„ლალი მოროშკინამ დეპარტამენტის თავმჯდომარეს ყოველთვიურად 10 000 ლარი და ავტომანქანა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ქალბატონი ლალი მაშინაც ცრუობს, როცა ამბობს, რომ პრემია არ აქვს მიღებული. მან პრემიის სახით 30 000 ლარი მიიღო. ამას გარდა, ის ირიცხებოდა მონიტორინგის სამსახურის რიგით თანამშრომლად და მის შრომით ხელშეკრულებას ვადა 30 ივნისს ეწურებოდა, თუმცა დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დღეს განთავისუფლდა“, – განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ლალი მოროშკინა სამსახურიდან გათავისუფლების გამო სასამართლოში ჩივილს აპირებს. რაც შეეხება პრემიას, მისი თქმით პრემია მხოლოდ რამდენჯერმე დღესასწაულებზე მიიღო, ისიც 1000 ლარის ოდენობით. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თურქეთიდან ყალბი ვალუტის შემოტანისთვის ოთხი პირი დააკავეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, თბილისსა და ბათუმში ერთდროულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრი: ჯემალ გ., გაბრიელ მ., გიორგი ხ. და მინდია ბ. ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, წინასწარ შეთანხმებით, ორგანიზებას უწევდნენ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში ყალბი ვალუტის – აშშ-ს დოლარის კუპიურების შემოტანას შემდგომი რეალიზების მიზნით.

სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა მფლობელობაში არსებული, სარეალიზაციოდ გამზადებული ყალბი აშშ-ს დოლარის 49 ერთეული კუპიურა – 4900 აშშ დოლარის ოდენობით – ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (რეპორტიორი)

## მამუკა ხერხეულიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



შსს-ს თანამშრომლებმა 1985 წელს დაბადებული გიორგი ნ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, მწერალი მამუკა ხერხეულიძე ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მამუკა ხერხეულიძეს შემთხვევის დროს თან ჰქონდა მის სახელზე შეძენა-შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც არ ჰქონდა. სამართალდამცველებმა მამუკა ხერხეულიძის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება გიორგი ნ-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების, ხოლო მამუკა ხერხეულიძის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით). (რეპორტიორი)



ტყეში ხეტიალისას დაკარგული მამაკაცები შემთხვევით უცნობ მოხუცს წააწყდნენ:

– ბაბუ, გვასწავლე, როგორ მივიდეთ უახლოეს სოფლამდე?

– პირდაპირ იარეთ და მარიხუანის მინდორს მიადგებით, მერე ეგრევე გამოჩნდება მოლაპარაკე მდინარე...

*****

ფიზკულტურის გაკვეთილზე:

– ბავშვებო, გამოტყდით, ვინ ეწევა? ოღონდ, არ მომატყუოთ! აჰა, გასაგებია... ესე იგი, შენ და შენ... მოკლედ, ასე ვიქცევით: ჩვენ სამი მოვწევთ, დანარჩენებმა – 5 წრე სტადიონის გარშემო!..

*****

სააკაშვილი ისრაელს ესტუმრა, მივიდა გოდების კედელთან და პატარა ხვრელში წერილი შეაცურა.

ხმა კედლიდან:

– სად მაქვს ამდენი?!

*****

– საიდან იცი ასე კარგად სომხური ენა?

– სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელი სომეხი მყავდა და...

*****

რწყილმა ზეცას ახედა და მეორე რწყილს გადაულაპარაკა:

– საინტერესოა, ნეტა თუ არის სიცოცხლე სხვა ძაღლზეც?

*****

კაზინოში მძარცველები შეცვივდნენ:

– დაწექით ყველანი!!!

ხმა ერთ-ერთი მაგიდიდან:

– ამ კარტში როგორ დავწვე, „სტრიტი" მიქირავს!..

*****



მთვრალი ქმარი სახლში ღამის 3 საათზე მივიდა. ცოლი გაწიწმატდა:

– ნამუსი სულ დაკარგე, რომელ საათზე მოხვედი სახლში?!

– და ვინ გითხრა, რომ მოვედი? უბრალოდ, გიტარის წასაღებად შემოვიარე!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნახევარ თვეში მაცდურმა ოფიციანტმა 7 ქმარი გამოიცვალა



ზოგი ერთხელ გათხოვებას ძლივს ახერხებს, აი, 25 წლის ეგვიპტელმა ოფიციანტმა კი სულ რაღაც ნახევარ თვეში 7 ქმარი გამოიცვალა. ამბობენ, პირველია რთული, თორემ შემდეგ პრობლემა აღარ არისო და რა ვიცით, აბა?..

ეს უჩვეულო შემთხვევა ეგვიპტის ქალაქ ჰურგადაში მომხდარა და ოფიციანტის „მაიმუნობა" მის მეშვიდე ქმარს სრულიად შემთხვევით აღმოუჩენია.

25 წლის მომხიბვლელი მიმტანის მაქინაციების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისმა მორიგმა რჩეულმა ცოლის ხელჩანთაში ქორწინების ექვსი მოწმობა აღმოაჩინა.

მუქარის წყალობით, გამწარებულმა მამაკაცმა ცოლი გამოტეხა და აღიარებინა, რომ ის რიგით მეშვიდე ქმარი იყო.

სამწუხაროდ, ცოლის აღიარებას ქმარი ვერ დაუმშვიდებია და მას ყველაფერი პოლიციისთვის მოუხსენებია, რომლებმაც დაადგინეს, რომ თავისი გარეგნობის წყალობით, ოფიციანტი ძალიან ადვილად ხიბლავდა მარტოხელა მამაკაცებს, თუმცა სულ რამდენიმე დღეში მათ მიმართ ინტერესს კარგავდა, ფულს სძალავდა და ახალი პარტნიორის ძებნაზე გადადიოდა.

როგორ ახერხებდა ახალგაზრდა ეგვიპტელი ერთ ქმართან განქორწინების გარეშე მეორეზე დაქორწინებას, უცნობია, თუმცა ეს იქაური სამართალდამცველების თავშისახლელია, ჩვენ კი ჩვენს ამბებზე ვიდარდოთ.

**factroom.ru**

## გერმანელ სამხედროებს ერთმანეთში სექსი მხოლოდ... ყარაულში დგომისას აეკრძალათ(?!)



ეს ნატოვო, ის კლარა და ეს ცეტკინიო, რომ ჩაგვჩიჩინებენ, ვითომ კარგი ამბავი უნდა იყოს?

ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი წამყვანი წევრის არმიაში რომ აშკარად უცნაური ამბები ხდება, ეს კი ფაქტია და იმედია, თუკი ოდესმე საქართველოსაც ეღირსა ნატოში შესვლა, მსგავსი რამ აქაც არ დაკანონდება.

თურმე ნუ იტყვით და, ახალი წესების თანახმად, რომლებიც გერმანელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ამ ცოტა ხნის წინთ მიუღიათ, ჯარისკაცებს უფლება ეძლევათ, საკუთარი სექსუალური ცხოვრება ისე წარმართონ, როგორც მოესურვებათ.

– სრულწლოვან სამხედრო პირებს სრული უფლება აქვთ, აირჩიონ როგორც ჰომოსექსუალური, ისე ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები, – ასე განისაზღვრება გერმანელი ჯარისკაცებისთვის მიღებული ახალი წესები, თუმცა იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ვნების მორევში გადაშვების უფლება მათ არავითარ შემთხვევაში არ აქვთ მორიგეობის დროს.

აღსანიშნავია, რომ ეს ახალი წესები ვრცელდება აბსოლუტურად ყველა გერმანელ სამხედრო მოსამსახურეზე, იმათზე კი, ვინც ცხელ წერტილებში სამშვიდობო მანდატით იმყოფება.

უფერო მეტიც, ამიერიდან ჯარისკაცებს სრული უფლება აქვთ, სარდლობისგან „საკუთარი პირადი ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაც მოითხოვონ".

ამ ამბის გაგების შემდეგ, ჰიტლერი, ალბათ, საფლავში რამდენჯერმე გადაბრუნდებოდა...

**mainfun.ru**

## თუკი თქვენს აბაზანაში ლოსი გამოჩნდება...



დიდხანს ვერაფრით მშვიდდებოდნენ პენსილვანიის შტატში მცხოვრები ოჯახის წევრები უეცრად განცდილი შიშისგან, ხოლო მაშველები უფრო დიდხანს იცინოდნენ, იცინოდნენ, კვდებოდნენ სიცილით...

ყველაფერი კი აი, ასე მომხდარა:

შუაღამისას გაგონილმა ხმაურმა ამერიკული ოჯახი დაფეთებული წამოაგდო. ცოლს უეჭვია, რომ ხმაური აბაზანიდან მოდიოდა, ქმარს კი უკმეხად მიუგია:

– აბაზანიდან არა, ბოსლიდანო...

მოკლედ, ხმაურზე აბაზანისკენ გავარდნილ ამერიკელებს იქ... ლოსი დახვედრიათ, რომელიც ადამიანებზე უფრო მეტად შეშინებული ჩანდა.

მოკლედ, ინციდენტი სულ მალე, ყოველგვარი გართულების გარეშე ამოიწურა – ადგილზე გამოძახებულმა მაშველებმა ლოსი ადვილად შეიპყრეს და ტყეში დააბრუნეს, თუმცა დღემდე ვერავინ მიმხვდარა, როგორ შეაღწია გარეულმა ცხოველმა აბაზანაში...

**globalfact.ru**

## მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ერი



როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დადებითი შინაარსის მქონე რეიტინგებში საქართველოს ადგილი არ ან ვერ გამოიძებნა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შესახებ კაციშვილი არაფერს ამბობს, თითქოს საქართველო არასოდეს არსებულა და მასზე მხოლოდ ზღაპრებში ყვებოდნენ...

რეიტინგი, რომელშიც მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ერები მოხვდნენ, ირლანდიელმა მეცნიერებმა შეადგინეს. საკითხი კი შემდეგნაირად გადაჭრეს – მკვლევარებმა სხვადასხვა ეროვნების დაახლოებით 20 ათას ადამიანს ინტელექტუალური ტესტების შევსება დაავალეს და დასკვნებიც ამის მიხედვით გამოიტანეს.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს შესახებ არავინ არაფერს ამბობს, ეტყობა, მეცნიერებს ევროპის ციხეებში მისვლა დაეზარათ და შესაბამისად, ტესტის შევსება ქართველებს არ მოუწიათ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ რეიტინგის სათავეში გერმანელები მოექცნენ, რომლებმაც 107 ქულა დააგროვეს. მეორე ადგილზე არიან პოლონელები 106 ქულით, ბრინჯაო და მესამე პოზიცია კი შვედებს ხვდათ წილად. მათ ანგარიშზე 104 ქულაა.

შვედებს მოსდევენ იტალიელები, რომლებიც მეოთხე ადგილს დასჯერდნენ, მეხუთეზე კი ავსტრიელები გავიდნენ.

რეიტინგის დანარჩენი მონაწილეები არიან:

6. შვეიცარია; 7. ბრიტანეთი; 8. ნორვეგია; 9. საბერძნეთი; 10. ბულგარეთი.

ცნობილია, რომ ქულათა ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელი სერბებს აქვთ – 89 და ისინი მე-20 ადგილზე გავიდნენ. დანარჩენი მონაწილეების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. ვიცით მხოლოდ ის, რომ რუსეთი მე-16 ადგილს დასჯერდა...

და ამის მიუხედავად, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა, არის სადმე ერი?!"

**vesti.ru**

## რატომ უყურებენ ადამიანები ეროტიკულ ფილმებს და რა დადებით და უარყოფით გავლენას განიცდიან



მოდით, შევეცადოთ იმის დადგენას, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ეროტიკული ფილმების ყურებას ადამიანის ფსიქიკისთვის, ოღონდ, პირველ რიგში, იმაზე შევთანხმდეთ, რომ საუბარი ეხება არა პორნოგრაფიას, რომელიც, როგორც წესი, სექსუალური აქტის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე აკეთებს აქცენტს და ხშირად, ამაზრზენ სცენებსაც გვთავაზობს, არამედ ეროტიკას, სადაც ყურადღება ნაკლებ გარყვნილებაზეა გამახვილებული.

მაშ ასე, მაინც რატომ სარგებლობს ეროტიკული ფილმების ჟანრი ასეთი პოპულარობით? რატომ უყვარს ძალიან ბევრ ადამიანს მისი ყურება? ფსიქოლოგები განმარტავენ:

– პირველ რიგში, ყველაზე გავრცელებული მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანებს აქვთ იმის ცხოველი ინტერესი, როგორ ცხოვრობენ ერთად მისთვის უცნობი წყვილები.

– ადამიანს რაღაც არ აკმაყოფილებს რეალურ ინტიმურ ცხოვრებაში: პარტნიორი ვერ ანიჭებს იმ შეგრძნებებს, რომელიც თავად სურს, უარს ეუბნება თამამ ექსპერიმენტებზე და ასე შემდეგ.

– არ არის გამორიცხული, ეროტიკული ფილმებით გატაცება კონკრეტული ადამიანების კომპლექსებით იყოს განპირობებული, რომლებიც მას პარტნიორის შოვნაში უშლიან ხელს.

– ვიღაცას სურს, რომ ამით აკრძალული ხილი იგემოს.

– რაც შეეხებათ მოზარდებს, ისინი იკლავენ ჟინს, ინტერესს და ცდილობენ, ეროტიკული ფილმებიდან რაღაც-რაღაცები ისწავლონ...

ახლა ისიც გავიგოთ, რა დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ეროტიკული ჟანრის ფილმებს. ფსიქოლოგების აზრით:

– ფილმებმა შესაძლოა, სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპლექსებით გატანჯული ადამიანი გონზე მოიყვანონ.

– ამ გზით, ადამიანების უმრავლესობას ყოველდღიურ ცხოვრებაში არარსებული შეგრძნებების შევსება შეუძლია.

– ეროტიკული ფილმების დახმარებით, ბევრი ფსიქიკური გადახრა შვებას მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში ჰპოვებს და საკუთარ გარყვნილებას რეალურ ცხოვრებაში აღარ გამოხატავს...

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუკი გეტყვით, რომ ეროტიკული ფილმების ყურებას ნეგატიური შედეგი უფრო მეტი მოსდევს, ვიდრე პოზიტიური. მაგალითად:

– ეროტიკულ ფილმებს მოსდევს არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანების აღგზნება, არამედ შესაბამის რეაქციას მოზარდებიც ავლენენ, რაც ხშირად მასტურბაციით სრულდება. ეს „საქმიანობა" რომ დადებით შედეგს ვერაფრით იძლევა, უამრავი კვლევის შედეგადაა დამტკიცებული.

– არცთუ იშვიათად, ეროტიკულ ფილმებში გადმოცემულია სექსი სიყვარულის გარეშე. ეს კი ადამიანებს ანალოგიური ნაბიჯისკენ უბიძგებს, რაც ხშირად, შეყვარებულების, საცოლეების, საქმროებისა და მეუღლეების ღალატით სრულდება.

– ბევრ ფილმში შეხვდებით არაადეკვატურ ფაქტებს, უკანონობას, რაც ასევე ილექება ადამიანის, განსაკუთრებით კი, მოზარდის გონებაზე.

– ზოგიერთ სცენაში ქალები მამაკაცების მონების როლებს ასრულებენ ან დაკისრებული აქვთ ძლიერი სქესისთვის მხოლოდ სექსუალური ჟინის დამკმაყოფილებლის ფუნქცია, რასაც შეუძლია მოზარდს აფიქრებინოს, რომ ქალებს ის მოსწონთ, როცა მათ უხეშად ექცევიან და ექსპლოატაციას უწევენ. ასეთი აზრით შეპყრობილ ადამიანთან ურთიერთობა კი აუცილებლად კრახით დასრულდება.

**globalscience.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ბურლე-ლეული
2. ვიცინი, ნიკულინი და ...
3. გამხმარი ხილი
4. ლაიზა მინელი ფილმში
5. ილუ-ზიონისტი დევიდ ...
6. მოტ-ლანდიური ბვარის ნაირსახეობა
7. მომ-ღერალი ფლორიდ ...
8. აფრო-დიტის სატრფო
9. მულტ-ფილმი „მონსტრე-ბის ...“
10. მღერალი ... ჩუკოვსკი
11. სპორტ. ინვენ-ტარის ფირმა
12. ქალაქი საფრან-გეთში
13. იტა-ლიელების გმირი ჯუზეპე ...
14. შხამიანი გველი
16. ბოსტ-ნეული
17. საერთო ევროპ. ვალუტა
18. მუსი-კალური ვიდეო-რგოლი
19. მასობ-რივი გადარ-ჩენა
20. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
21. ქალაქი სომხეთში
22. მსახიობი ... ბანდერასი
23. მდინარე გერმა-ნიაში
24. ... კვერი ცხვა და ბუღა გაძოცხვაო
25. ... გაფრინ-დაშვილი
26. ტენორი ... ლანცა
27. ეგს-პრეზი-დენტი ბილ ...
28. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
29. მინის თხილი
30. კუნძული ინდონე-ზიაში
31. ქურული მუსიკა-ლური სიმღერა
32. კუნძული იაპონიაში
33. გამო-ძიების ერთ-ერთი ეტაპი
34. ნადი-რობის ქალღ-მერთი
35. გულიანი კანფეტი
36. რეჟისორი ... ჰოვარდი
37. მსახიობი ნანკა ...
38. თევზ-საჭერი ბადე
39. ვარცხნი-ლობის სპეცია-ლისტი
40. ავად-მყოფური სიგამხ-დრე
41. სიტყვით გამოხა-ტვლელი
42. ის-ლანდიის დედაქა-ლაქი
43. ლანგარი
44. ქიმიური ელემენტი
45. ადგილი
46. ნამცხვარი
47. ნუსხა
48. სამი ნაწი-ლისგან შემდ-გარი ნახატი
49. ამერი-კელების მეტსა-ხელი
50. მსახიობი მერილ ...
51. მსახიობი ... უილსონი
52. გი-მართვა ქალისაძი აშშ-ში
53. ბურტბურთის მეგობარი
54. ქელ-რობული გემი
55. ფორმანის ფილმი მოცარტზე
56. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
57. ყურძნის არაყი
58. ეს-პანელი დიდებული
59. მწერალი ალექსან-დრე ...
60. მსახიობი ... ჰოპკინსი
61. ქვეყნის მმართველ
62. ტურგენევის მოთხრობა
63. მარუკოს დედაქა-ლაქი
64. მსახ. ბილი ... ტორნ-ტონი
65. მსახიობი დაინ ...
66. მუსლი-მანური ლოცვა
67. ძველებ. კლავიშ-იანი ინსტრუმ.
68. ჰანს-ქრისტიან ანდერსენის „სამი-ბალი ბატის ...“
69. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ ვერსონაჟი
70. თუთი-ყუშის სახეობა
71. ამო-თხრილი ადგილი
72. მსახიობი იგორ ...
73. ციხე-სიმაგრე თბილის-ში
74. ქალაქი „ილიადა-ში“
75. ზურგის ტვინის ნერვთა ათობა
76. მიწა, ნიადაგი
77. ნეპალის დედაქა-ლაქი
78. ყანის მოსამ-კელი მანქანა
79. მსახიობი ... როტი
80. ერთგვარი ფანჯარი
81. ბრონტე. „ჯეინ ...“
82. ეთერ-ზეთოვანი მცენარე
83. რეინის ნაწილი ნაშთი-ბადთან
84. ბალზაკი. „მამა ...“
85. მწერი
86. კათო-ლიკური საგალო-ბელი
87. „ნაუტი-ლუსის კაპიტანი“
88. მუსიკა-ლური ინტერ-ვალი
89. პოეტი ... კალანდაძე
90. სულხან-ორბელიანი
91. ცისა-რტყელას ფერი
92. მხ/ფ „... კუნძული“
93. სამკურ-ნალო მცენარე
94. წარწერა საფლავის ქვაზე
95. შვიდი დღე
96. ბარდი ... ვისოცკი
97. თალი
98. მამის დახმარება მშვილდ
99. ქაოსის ფრინველი
100. მას უყვარდა ემერ-რალდა
101. ... შვარცე-ნეგერი
102. შტატი აშშ-ში
103. მტაცებელი ცხოველი საჯიხვში
104. მსახიობი ცხვარი
105. კუდიანი ვარსკ-ვლავი
106. ნაბიჯი ბალეტში
107. რეჟისორი ... შანბა-ზარიძე
108. კომ-პოზიტორი ... გაბუნია
109. საშე-ნებლო მასალა
110. მსახიობი ... ესტევესი
111. მწერალი ... მან რიდი
112. ბგერის გრაფიკ. გამოსა-ხულება
113. ერთუჯ-რედიანი ორგა-ნიზმი
114. ცხენ-ირემი
115. ქალაქის ფიგუ-რულად დაკეც-ვის ხელოვ-ნება იაპონიაში
116. ცირკის მოედანი
117. მსახიობი ... თურმანი
118. პოპკორნი
119. „პავეი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
120. მხ/ფ „ჩვენი ...“
121. ღმერთი წყნარ ოკეანეში
122. გასალები
123. თბილისის უბანი
124. აზროვ-ნების ორგანო
125. მზის ღმერთი ეგვიპტეში
126. პირის ნაცვალ-სახელი
127. პურის სოკო
128. ... ფერსა, მადლი ღმერთსა
129. ოტელოს ეროვნება
130. დედანიდან გადაღე-ბული პირი
131. სოცია-ლური ფენა ინდო-ეთში
132. მომ-ღერალი დევიდ ...
133. სახის ნაწილი
134. ხელოვ-ნური ენა
135. რუსული ესტრადის მომღერალი
136. მამალი კაცი
137. ფოტოების ჩასასმელი წიგნი
138. მო-წონების შემაჩვილი თეატრში
139. უბე-დურების მომწვე-ვარი სიგნალი
140. მსახიობი ... ანდერსონი
141. რეჟისორი ... დე ბონტი
142. ყვითელი სათევზაო ქვა, რომელიც ბალ-ტის ზღვა გამორიყავს
143. ძვ. თბილი-სური მიმართვა
144. მსახიობი ... კლოუზი
145. სახელმ-წიფო დოკუმენტი

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## დამტკიცებულია: კბილის პასტა კარიესისგან ვერ გვიშველის



სტომატოლოგების აბსოლუტური უმრავლესობა ჭკუას გვარიგებს, რომ კბილები აუცილებლად დღეში ორჯერ გამოვიხეხოთ, რათა კარიესისგან და სხვა გართულებებისგან გადავრჩეთ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მათი რჩევა სინამდვილეში, უშედეგო ყოფილა.

სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, დაეზუსტებინათ, შეუძლია თუ არა კბილის პასტას კბილის ზედაპირი იმდენად გააძლიეროს, რომ ემალი გაძლიერდეს? აღმოჩნდა, რომ ფტორი, რომელიც ყველა კბილის პასტაში შედის და კარიესის განვითარებას ხელს უშლის, რეალურად არ მუშაობს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად სპეციალისტებმა აი, რა დაადგინეს: დამცავი ფენა, რომელიც კბილზე პასტის დატანის შედეგად წარმოიქმნება, ძალიან თხელია იმისთვის, რომ კარიესის გაჩენას შეეწინააღმდეგოს.

როგორც აღმოჩნდა, დამცავი ფენის სისქე სულ რაღაც 6 ნანომეტრია, ხოლო დაზიანებებისგან ემალის დასაცავად 100-ჯერ მეტი ყოფილა საჭირო.

მაშ, რა ვქნათ და რა ვილონოთ? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვერც სპეციალისტები ახერხებენ.

*myjane.ru*

## დღის ძილი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ყოფილა



არ გაუშვათ ხელიდან შანსი და როგორც კი დღის მანძილზე ამის საშუალება მოგეცემათ, ცოტა 'წაუპლაცკართეთ".

რატომ და იმიტომ, რომ მიღებულია კლინიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც დამტკიცდა თეორია, რომ ძილს შუა დღის შემდეგ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის კლინიკური მტკიცებულებები დღემდე არ არსებობდა და აი, ორდენინმენლაინი მუშაობის შემდეგ, რაც სპეციალისტებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან და საავადმყოფოდან მიღებული მონაცემები შეისწავლეს, დაასკვნეს:

– დღის მანძილზე ადამიანები ძალიან ბევრი მიზეზის გამო, სერიოზულ სტრესს განიცდიან. მისგან განთავისუფლებისთვის კი შუადღისას 45-წუთიანი ძილია აუცილებელი, – განმარტავენ სპეციალისტები.

მათივე თქმით, სწორედ დღის ძილით შეიძლება სტრესული მდგომარეობის კლანჭებიდან თავის დახსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნება სულ უფრო ღრმავდება და შეიძლება, ქრონიკული გაგრძელებაც მოჰყვეს.

*meganauka.com*

## ინგლისში ბავშვებისთვის პარაცეტამოლისა და იბუპროფენის დანიშვნა აკრძალეს



იმდენად, რამდენადაც ორივე პრეპარატი საქართველოში ძალიან ფართოდ გამოიყენება, ვფიქრობთ, ნისლიან ალბიონზე მიღებული გადაწყვეტილება ბევრს დააინტერესებს.

როგორც ირკვევა, ბრიტანელი მედიკოსები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ბავშვებისთვის პარაცეტამოლისა და იბუპროფენის დანიშვნას. მათი თქმით, აღნიშნული პრეპარატები გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ტემპერატურის მომატება ან ციება.

ტემპერატურის მომატება იმის ნიშანია, რომ ორგანიზმი ინფექციას ებრძვის. ამდენად, მაშინვე ანტიბიოტიკებით მკურნალობის დაწყება ამ ბუნებრივ პროცესს არღვევს, რაც საერთო მდგომარეობაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს.

გარდა ამისა, ექსპერტების მტკიცებით, არის არცთუ იშვიათი მაგალითები, როცა ბავშვებში ასთმის გაჩენის მიზეზი სწორედ პარაცეტამოლი და იბუპროფენი ხდება.

*aif.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**21 მაისი:** ის წინდაუხედაობა, რომლითაც მზად ხართ, დააფინანსოთ ნებისმიერი იდეა, სერიოზულ დანაკარგებამდე მიგიყვანთ. როცა საქმე ფინანსებს ეხება, სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**21 მაისი:** დღეს ერთ ადგილზე გაჩერება გაგიჭირდებათ. ყველა წვრილმანს ნუ გამოედევნებით. ძალისხმევა ძირითად საქმეზე მიმართეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**21 მაისი:** რესურსები საკმარისად არ გექნებათ, ამიტომ მათი ხარჯვა წინდახედულად მოგიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**21 მაისი:** შესაძლოა, დღეს პრობლემა იმაში კი არ იყოს, როგორ გააკეთეთ ესა თუ ის საქმე. აქ ყველაფერი წესრიგშია. უბრალოდ, იმას არ მოახმარეთ ძალისხმევა, რაც საჭირო იყო.

**ლომი 23.07-22.08**
**21 მაისი:** თანაგრძნობის უნარი დღეს სხვების უკეთესად გაგებაში დაგეხმარებათ. მათ გრძნობებში ადვილად გაერკვევით და დაამშვიდებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**21 მაისი:** თუ თაღლითი ხართ, თქვენი დღეა. დღეს თქვენს ნებისმიერ სიტყვას დაიჯერებენ. ფრთხილად იყავით, შარს არ გამოჰკრათ ხელი.

**სასწორი 23.09-22.10**
**21 მაისი:** შეიძლება დღეს გამდიდრების რეალური შანსი მოგეცეთ. სულიერი იქნება, თუ ფინანსური, ჯერ უცნობია.

**მორიელი 23.10-21.11**
**21 მაისი:** ყველაფრის გამთელება შეუძლებელია. კარგად გახსოვდეთ ეს, სანამ თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად რამეს მოიმოქმედებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**21 მაისი:** ღმერთმა უხვი ნიჭით დაგაჯილდოვათ, თუმცა, თქვენს ტალანტებს საკმაო ხანია, არასრულად იყენებთ. მოუძებნეთ მათ დანიშნულება.

**თხის რქა 22.12-19.01**
**21 მაისი:** დღეს ვიღაც გაურკვეველ ადამიანთან გექნებათ საქმე. ყველაზე უსიამოვნო კი ის არის, რომ თანამოსაუბრისთვის ხშირად გაღიმება და მისი გონებრივი შესაძლებლობებით აღფრთოვანების გამოხატვა მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**21 მაისი:** შესაძლოა, დღეს რაიმე საქმიანი ან იურიდიული პრობლემა გაგიჩნდეთ. რაც შეიძლება მეტი კითხვა დასვით, გაურკვეველი დეტალები პრობლემას დაამძიმებს.

**თევზები 19.02-20.03**
**21 მაისი:** შეგიძლიათ საკუთარ თავს გამართლებულ რისკზე წასვლის საშუალება მისცეთ. ოღონდ გაითვალისწინეთ, თქვენი მიზანსწრაფულობის დაფიქსირებით, ლიდერის პოზიციას დაიკავებთ, გსურთ ეს თუ არა.


გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან


## თაგვებისთვის კბენა გიყვართ? ჰოდა, ფულიც გადაიხადეთ!



ჯარიმა 500 დოლარის ოდენობით – სწორედ ასეთი იყო ავსტრალიური კვინსლენდის სასამართლოს გადაწყვეტილება.

და არ იკითხავთ, რისა გულისთვის დააჯარიმეს 22 წლის ტონი მაგკი?

თურმე, ეს ახალგაზრდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ერთ-ერთი კაფე-ბარის მზარეულის შეგირდად მუშაობდა და თავისუფალ დროს იმავე დაწესებულებაში ატარებდა.

ჰოდა, ამ ბარში გართობის საკმაოდ უჩვეულო წესი ჰქონიათ – ის, ვინც გალიიდან, რომელშიც თაგვიც იყო მოთავსებული, ენის ერთი მოძრაობით წინაკას გამოწევდა, შემდეგ კი ჩაგბეჩდა, ერთი კვირის განმავლობაში, ალკოჰოლს უფასოდ მიიღებდა.

აბა, გართობის მოყვარული რომელი ახალგაზრდა იტყვის უარს უფასო სასმელზე და საკუთარი ბედის გამოცდა ტონი მაგკისაც მოუსურვებია.

– წინაკა იმდენად მწარე იყო, რომ კონტროლი დამაკარგვინა და თაგვს კუდი შემთხვევით მოვაჭამე, – ასე იმართლა თავი ახალგაზრდა ავსტრალიელმა, თუმცა მოსამართლემ ის მაინც დააჯარიმა.

პრინციპში, ტონი მაგკი უფრო სერიოზულ შარს გადაურჩა, რადგან კვინსლენდის კანონების თანახმად, ადამიანს, რომელიც ცხოველს მოკლავს ან თუნდაც, უმნიშვნელო ზიანს მიაყენებს, ფულადი ჯარიმა და თავისუფლების 2 წლით აღკვეთა ემუქრება.

*mainfun.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– კოტე, მომიყევი ერთი, რატომ შემოგარტყა ნინიკომ პირველივე პაემანზე?

– ეეჰ!.. ზზზოოპარკშში ვსე-ვსე-ვსეირნობდით, – დაიწყო კოტემ ამბის თხრობა საშინელი ენის ბორძიკით, – მმმაიმუნების გგგალიასთან რრრო მივედით, დდდავინახე, როგორ კოცნიდა ერთმანეთს ორრრრი მმმაიმუნი. ნინიკოს ვვვუთხარი: „ჩჩჩვვვენც ხომ არ მიგვებაძა?" და შშშემომარტყა!..

– ჰო, მაგრამ რატომ?!

– იმიტომ, რრრომ სანამ მმმე წინადადება დდდავამთავრე, გალიაში სიტუაცია რრრადიკალურად შშშეიცვალა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია » 211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ **„ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.11